გაზეთი ბოევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№51 (1641) 28 დეკემბერი — 3 იანვარი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

## გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

# ირაკლი ღარიბაშვილი: „წელსაც გვექნება 10%-იანი ეკონომიკური ზრდა!“

„აფხაზეთსა და სამაჩაბლოში 10 მილიარდი დოლარის ინვესტიციას განვახორციელებთ“ – პრემიერის წლიური ანგარიშის მთავარი აქცენტები

## რა სიახლეები ინერგება მართვის მოწმობის ასაღებად

ექსკლუზიური ინტერვიუ მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილესთან

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

## „სააკაშვილი რა მდგომარეობაშიცაა, იმის შედეგია, რომ ყველას მტრად რაცხავდა“

სკანდალური ინტერვიუ ლელა ქებურიასთან

# ირაკლი ღარიბაშვილი: „წელსაც გვექნება 10%-იანი ეკონომიკური ზრდა!“

**27 დეკემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საზოგადოების წინაშე წლიური ანგარიშით წარსდგა. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ჩვენ წელსაც გვექნება 10%-იანი ეკონომიკური ზრდა, შარშან კი 10.5%-იანი ეკონომიკური ზრდა გვქონდა.**

**„მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე, 2020 წელთან შედარებით, შეადგენდა დაახლოებით 4 200 დოლარს, 2021 წელს გაიზარდა მშპ, წელს უკვე მოსალოდნელია, რომ ერთ სულ მოსახლეზე – დაახლოებით, 6 700 დოლარი და ჩვენი პროგნოზებით, 2023 წელს – მშპ ერთ სულ მოსახლეზე, დაახლოებით, 8 000 დოლარს მიუახლოვდება. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა 2020 წელს იყო 50 მილიარდი ლარი, 2023 წელს იქნება 80 მილიარდი ლარი ანუ სამ წელიწადში, 30-მილიარდიანი ზრდა გვაქვს, რაც დამეთანხმებით, რომ საკმაოდ სერიოზული პროგრესია. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის, რომ ეს ტემპი არ უნდა შეჩერდეს, პირიქით, უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ, მეტი პასუხისმგებლობით, მეტი ტემპით უნდა გავაგრძელოთ წინსვლა და რეფორმები“,** – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერი საგარეო ვალსაც შეეხო და თქვა, რომ 2020 წელს, საგარეო ვალი 60%-მდე გაიზარდა მშპ-სთან მიმართებაში, წელს კი ვალის 39%-მდე შემცირება შევძელით:

**„მომავალ წელს იქნება 38%, რაც ნიშნავს, რომ სულ რაღაც ორ წელიწადში, ვალის 22%-ზე მეტი კლება გვაქვს“,** – აღნიშნა პრემიერმა და დასძინა: – **„პანდემიის დროს, გახსოვთ, რომ ბიუჯეტის დეფიციტი იყო ძალიან მაღალი – 9.3% პროცენტი იყო დეფიციტი. შარშან, როცა მე დავინიშნე პრემიერ-მინისტრად, მაშინ ჩამოვწიეთ 6.1%-მდე, შემდეგ წელს, უკვე 3%-მდე მოვახერხეთ დეფიციტის შემცირება და გაისად 2.8% იქნება ბიუჯეტის დეფიციტი, რაც ასევე მნიშვნელოვანი პროგრესია და მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო“.**

რაც შეეხება ექსპორტის მონაცემებს, მთავრობის მეთაურის განცხადებით, ბოლო ორ წელში, ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა:

**„32%-ით არის გაზრდილი იანვარ-ნოემბერში ექსპორტი და შეადგინა 5 მილიარდ დოლარზე მეტი, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი 21%-ით გაიზარდა და 3 მილიარდ 400 მილიონ დოლარს გაუტოლდა. იანვარ-ნოემბერში, სავაჭრო ბრუნვა 17 მილიარდი დოლარით განისაზღვრა, რასაც წინა წლის მონაცემებს თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ 32 %-იანი მატება გვაქვს. აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ 10 თვის სავაჭრო მონაცემების მიხედვით, ეს ციფრები შარშანდელ, მთლიანი წლის მაჩვენებლებზე მეტია“.**

ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, ტურიზმი ძალიან სწრაფი ტემპებით აღდგა და კიდევ უფრო მეტი რეზერვი გვაქვს, რათა მომავალ წელს, ეს მაჩვენებლები უფრო მეტად გაიზარდოს:

**„ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 3.2 მილიარდ დოლარს შეადგენს. აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ სატრანსპორტო გადაზიდვები – საავტომობილო, რკინიგზა რეკორდულია, რადგან წელს, 25 მილიონი ტონა იქნა გადაზიდული, რაც თითქმის 20%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.**

**ასევე, წელს პოზიტიური წელი იყო, ძვირფასი მეგობრებო, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის თვალსაზრისითაც, სადაც 100%-ითაა გაზრდილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და თითქმის, მილიარდ შვიდასი მილიონი დოლარი შეადგინა, ბოლო ათ თვეში. თუ ამ მაჩვენებელს შევადარებთ 2021 წელთან, როგორც გითხარით, 100%-იანი მატება გვაქვს. 2019 წელთან შედარებით, ეს არის 72%-იანი მატება და აქედან გამომდინარე, მინდა აღვნიშნო, რომ ევროკავშირის წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 47%-ია“,** – განმარტა პრემიერმა.

რაც შეეხება სიღარიბესა და უმუშევრობას, რაც ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, პრემიერის თქმით, ხელისუფლების გაცხადებული პოლიტიკაა, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში შევძლოთ სიღარიბის დამარცხება და უმუშევრობის შემცირება:

**„მესამე კვარტალი ამ კუთხითაც გამოირჩეოდა. უმუშევრობის დონემ ისტორიულ მინიმუმს მიაღწია და 15,6% შეადგინა. ასევე, მინდა გითხრათ, რომ ორ წელიწადში – 2021 წლის მეორე კვარტლიდან 2022 წლის მესამე კვარტლის ჩათვლით, შეიქმნა 229 000 ახალი სამუშაო ადგილი. 229 000 ადამიანი დასაქმდა ამ ბოლო ორ წელიწადში, აქედან, არასახელმწიფო სექტორში – 209 000 ადამიანია დასაქმებული. ასევე, მოგეხსენებათ, რომ რამდენიმე თვის წინ, დავიწყეთ საზოგადოებრივი სამუშაოების დასაქმების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი, შრომისუნარიანი მოქალაქეების დასაქმებას. 30 000-ზე მეტი სოციალურად დაუცველი დასაქმებულია ბოლო 6-7 თვეში. რესურსი ძალიან დიდია. მოგეხსენებათ, რომ 200 000 ადამიანი სოციალურად დაუცველი, შრომისუნარიანი მოქალაქეა და ჩვენი ამოცანაა, რომ ყველა ეს ადამიანი დავასაქმოთ, როგორც კერძო, ასევე, საჯარო სექტორში.**

**მე, ასევე, მინდა გითხრათ ძალიან მოკლედ, რომ ჩვენ 10%-იან ეკონომიკურ ზრდას ველოდებით წელს. საშუალოვადიან პერიოდში, პროგნოზი არის შემდეგი, რომ საქართველოს ექნება ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა რეგიონში და ევროპის მასშტაბით. ეს არის ჩვენი პარტნიორების, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა – IMF და მსოფლიო ბანკის პროგნოზები“.**

წლიურ ანგარიშზე საუბრისას, ირაკლი ღარიბაშვილი ენერგეტიკასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ეს ერთ-ერთი მთავარი დარგია, რომელიც კიდევ უფრო მეტად უნდა გავითარდეს და მეტი ძალისხმევა ჩავდოთ ამ მიმართულებით, რათა მეტი ინვესტიციები მოვიზიდოთ:

**„ბოლო ხუთი წელი, თითქმის გაჩერებული იყო ინვესტიციები ენერგეტიკის სფეროში, ამ დარგში. ჩემი დავალებით, აქტიურად ვიმუშავეთ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და შევთანხმდით, რომ ახალ სქემას ავამოქმედებთ, რაც უკვე დამტკიცებულია მთავრობის მიერ. ჯამში, ჩვენ 1 500 მეგავატზე გამოვაცხადებთ ტენდერს და ამის შემდეგ, ამას გარდა, 800 მეგავატი, რომელიც უკვე გაფორმებული იყო და მათზე იყო გაცემული ე.წ. PPA ანუ გარანტირებული შესყიდვის შეთანხმებები, ეს 800 მეგავატიც გაეშვება.**

**ჯამში, მინიმუმ, ორ-სამ წელიწადში, დაახლოებით, 2 300 მეგავატამდე სიმძლავრის ჰესებზეა საუბარი. ეს არის, დაახლოებით, 3 მილიარდი დოლარის ინვესტიცია. აქ შედის, როგორც ჰიდრო, ასევე მზისა და ქარის ენერგიები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობისთვის. მინდა, კიდევ ერთხელ განვუმარტო ჩვენს საზოგადოებას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკის განვითარებას ჩვენი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობისთვის. მით უმეტეს, ჩვენ ახლა ვუყურებთ, რა ხდება ევროპაში – ენერგოკრიზისი, ფასების მატება. 1 კვტ/სთ ელექტროენერგიის საშუალო ფასი 20 ცენტია ევროპის ქვეყნებში, გერმანიაში – 80 ცენტიც კი დაფიქსირდა ზაფხულში, ზოგან 50-60 ცენტია და საშუალო ფასი 20 ცენტი გამოდის. ჩვენთან ძალიან იაფია ელექტროენერგია, ამიტომ გვჭირდება და კიდევ ერთხელ, ხაზგასმით მინდა გავიმეორო, რომ აუცილებელია, ამ მიმართულებით მეტი ძალისხმევა. სწორედ ამ მიზნით, ჩვენ, როგორც მოგახსენეთ, დავამტკიცეთ ახალი სქემა და მით უმეტეს, განსაკუთრებით ახლა, მას შემდეგ, რაც წარმატებული ნაბიჯი გადავდგით. მოგეხსენებათ, რამდენიმე კვირის წინ, ვიმყოფებოდი ბუქარესტში, სადაც ისტორიულ პროექტს ჩავუყარეთ საფუძველი. ეს არის თავიდან ბოლომდე ქართული ინიციატივა, ჩვენ მიერ მიტანილი ინიციატივა ევროკავშირში, ჩვენს პარტნიორებთან, ჩვენს მეგობარ აზერბაიჯანთან და რუმინეთთან. ჩვენ რუმინეთთან ერთად დავიწყეთ ამ პროექტის განხორციელება, რომელსაც შეუერთდა აზერბაიჯანი, უნგრეთი და სრული მხარდაჭერა აქვს ამ პროექტს ევროკავშირის მხრიდან. მოგეხსენებათ, ქალბატონი ურსულა ფონ დერ ლაიენი იმყოფებოდა ჩვენთან ერთად ბუქარესტში და საზეიმოდ აღვნიშნეთ ამ პროექტის დაწყება. სულ მალე, რამდენიმე თვეში, დასრულდება ე.წ. კვლევები – Feasibility და ამის შემდეგ, აქტიურ სამუშაოებზე გადავალთ.**

**რას მოუტანს ეს პროექტი ქვეყანას. შეიძლება ითქვას, რომ ეს მეორე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტია. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გარანტირებული**

*დასასრული მე-3 გვერდზე*

# „აფხაზეთსა და სამაჩაბლოში 10 მილიარდი დოლარის ინვესტიციას განვახორციელებთ“ – პრემიერის წლიური ანგარიშის მთავარი აქცენტები

*მე-2 გვერდიდან*

**რეალიზაციის საშუალება ელექტროენერგიისა, ეს არის პირდაპირი დაკავშირება ჩვენი ენერგსისტემისა ევროკავშირის ბაზართან, ევროკავშირის ენერგოსისტემასთან და რა თქმა უნდა, ეს არის ისტორიული მნიშვნელობის პროექტი.**

**დაახლოებით ორი-სამი მილიარდი დოლარი დაჯდება აღნიშნული პროექტი და ამ პროექტს განვახორციელებთ ჩვენ, ყველანი ერთად – ის ქვეყნები, რომლებმაც ხელი მოვაწერეთ აღნიშნულ მემორანდუმს.**

**ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ აუცილებელია, საქართველოს ჰქონდეს ელექტროენერგიის შესაბამისი გამომუშავება, რისთვისაც გვჭირდება გენერაციის ობიექტების განვითარება-აშენება, როგორც ქარისა და მზის ჰიდროელექტროსადგურების, ასევე თბოსადგურებისა, რომ ჩვენი წილი ელექტროენერგია გავყიდოთ ევროკავშირში, რაც ასეულობით მილიონი დოლარის შემოსავალს მოუტანს ჩვენს ქვეყანას და საბოლოო ჯამში, ჩვენს ხალხზე აისახება ეს სიკეთე. აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ მით უმეტეს იმ ფონზე, როცა ეკონომიკის ზრდა წინ უსწრებს გენერაციის გამომუშავებას, აუცილებელი არის, რომ ეს პროპორციები პირიქით შევატრიალოთ. ეს გენერაცია უნდა უსწრებდეს ეკონომიკის ზრდას, ზოგადად, ეს ასეა მიჩნეული.**

**ასევე, მინდა, ძალიან მოკლედ ვთქვა, რომ ჩვენ გვქონდა ამის თაობაზე მსჯელობა. მოგეხსენებათ, რამდენიმე კვირის წინ, მე დავაანონსე, რომ ანაკლიის პორტი ჩვენი გადაწყვეტილებით, მთავრობის გადაწყვეტილებით აშენდება, სახელმწიფო უნდა იყოს მესაკუთრე აღნიშნული სტრატეგიული ობიექტის. ანაკლიის პორტის 51% იქნება სახელმწიფოს კუთვნილება. ფოთის პორტი არის გასხვისებული, ბათუმის პორტი არის გასხვისებული, ჩვენ არავითარი ბერკეტი არ გვაქვს, რომ გარკვეული რეგულაციები განვახორციელოთ ტარიფებთან მიმართებაში, ამიტომ, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა მთელი რიგი ქვეყნები, განსაკუთრებით, ცენტრალური აზიის ქვეყნები თანხმდებიან, რომ აუცილებელია დივერსიფიკაცია და ახალი მარშრუტების დამუშავება. ამ მხრივ, ჩვენს კორიდორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებული ყურადღება არის მიმართული ჩვენი კორიდორის მიმართ.**

**ამიტომ აუცილებელია, იყოს გამართული პორტები, ინფრასტრუქტურა, რკინიგზა და სწორედ ამ მიმართულებით, ჩვენ განსაკუთრებულ ძალისხმევას მივმართავთ და განსაკუთრებულ ინვესტიციებს ჩავდებთ. დანარჩენ 49%-ზე ჩვენ გვინდა, გამოვაცხადოთ საერთაშორისო ტენდერი, ბევრი კომპანია გამოხატავს ინტერესს და უახლოეს რამდენიმე თვეში, გაირკვევა შესაბამისი შედეგიც“.**

როგორც პრემიერმა აღნიშნა, საერთო ამოცანა უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის გაერთიანება. მისი თქმით, მთავარი ამოცანა და იდეა, რომლის გარშემოც ჩვენი ერი უნდა გაერთიანდეს, სწორედ ქვეყნის გაერთიანებაა. თუმცა, მთავრობის მეთაურმა ისიც აღნიშნა, რომ საუბედუროდ, თუ სამწუხაროდ, ხელისუფლების ოპონენტები ყველაფერზე საუბრობენ, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და ჩვენი ხალხისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გარდა:

**„მოგეხსენებათ, ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ბიუჯეტი, სულ რაღაც რამდენიმე ასეულ, თუ არ ვცდები, 200 მილიონ დოლარს შეადგენს, აქედან სრულად არის დოტაციაზე მათი ეს ბიუჯეტი  და მინდა ვთქვა შემდეგი, რომ ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებისა და დებისთვის ეს გაშვებული შესაძლებლობაა. ჩვენი ქვეყნის გაერთიანების შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია, პირველ სამ წელიწადში, დაახლოებით, 10 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განვახორციელოთ აფხაზეთში** და ასევე, სამაჩაბლოში. ძალიან მარტივად შეიძლება ამის ორგანიზება, ჩვენ ეს გააზრებული გვაქვს, ამის თაობაზე ჩვენ გქვონდა ეკონომიკურ საბჭოზე მსჯელობა. აფხაზეთი შეიძლება გახდეს მეორე მონაკო, ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება. უზარმაზარი პოტენციალი აქვს, რომ  მეორე მონაკოდ, ხოლო სოხუმი – მეორე მონტე-კარლოდ იქცეს. ამიტომ, რა თქმა უნდა, ჩვენი პოლიტიკა არის მშვიდობიანი, ჩვენ გვინდა, ამდენი ომებით მიღებული ჭრილობები, რომ იტყვიან, მოვიშუშოთ. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ჩვენი პოლიტიკა არ გადაიხედება,  ჩვენ გვინდა მხოლოდ მშვიდობიანი გზით აღნიშნული კონფლიქტის, ამ საშინელი ტრაგედიის დასრულება და შერიგება იმისთვის, რომ ყველამ ერთად ვიცხოვროთ ერთიან, ძლიერ და ევროპულ საქართველოში.

**რაც შეეხება შრომას, დასაქმებას და სოციალურ დაცვას, იცით, რომ ჩვენ დავიწყეთ და 1 მარტიდან გავამკაცრეთ ონლაინ სათამაშო ბიზნესის რეგულაციები. 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის, დამოკიდებულ პირთა სიასა და აკრძალულ პირთა სიაში შეყვანილი პირებისთვის, მათ შორის, სოციალურად დაუცველი პირებისთვის, საჯარო მოხელეებისთვის აიკრძალა ონლაინ აზარტული თამაშები. აკრძალულ პირთა სიაში შეყვანილია თითქმის მილიონ ხუთასი ათასი პირი.**

**ძალზე მნიშვნელოვანია აზარტული თამაშების რეკლამის სრული აკრძალვა, რაც პარლამენტის დახმარებით, წელსვე განვახორციელეთ.**

**რაც შეეხება დასაქმების მიმართულებით ჩვენს გადადგმულ ნაბიჯებს, ამის თაობაზე მოგახსენეთ, მაგრამ გეტყვით, რომ ჩვენ წარმატებით დავიწყეთ საზოგადოებრივი დასაქმების პროგრამის განხორციელება და კიდევ უნდა გავაფართოვოთ აღნიშნული პროგრამა. 200 000 სოციალურად დაუცველი, შრომისუნარიანი ადამიანი უნდა დავასაქმოთ, მომდევნო ორ-სამ წელიწადში, როგორც კერძო, ასევე – საჯარო სექტორშიც.**

**რაც შეეხება პენსიების ინდექსაციას. ჩვენ შარშან უკვე დავიწყეთ ამ საკითხის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირება. ამან განაპირობა პენსიონერთათვის პენსიის ოდენობის ყოველწლიური გარანტირებული ზრდა. ორნიშნა ეკონომიკური ზრდისა და შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით, მომავალ წელს, პენსია საგრძნობლად გაიზრდება და გახდება 365 ლარი, ასევე, მაღალმთიან რეგიონებში – დაახლოებით, 440 ლარამდე. ასევე, ჩვენ მაქსიმალურად, შეძლებისდაგვარად გავზარდეთ სოციალურად დაუცველ ბავშვთა ყოველთვიური დახმარება. შედარებისთვის, 2012 წელს, ეს დახმარება იყო ნული, არავითარი დახმარება არ მიეცემოდა სოციალურად დაუცველ ბავშვებს. ჩვენ ეს დახმარება დავიწყეთ ჯერ 50 ლარით რამდენიმე წლის წინ, თუ არ ვცდები, ორი წლის წინ,  ამის შემდეგ, შარშან გახდა 100 ლარი, წელს – 150 ლარი და შემდეგ წელს იქნება 200 ლარი. თითოეულ ბავშვზე ჩვენ გავცემთ 200 ლარს და ეს პროექტი ბიუჯეტს 465 მილიონი ლარი დაუჯდება. ჯამში, 232 000 ბავშვი მიიღებს ამ ყოველთვიურ, 200-ლარიან დახმარებას და თითქმის ნახევარ მილიარდამდეა ამ პროგრამის ბიუჯეტი.**

**ასევე, მინდა ვთქვა, რომ ზოგადად, დემოგრაფიული საკითხები არის პრობლემატური და საჭიროებს უფრო კომპლექსურ მიდგომას. ჩვენ ვგეგმავთ, რომ 2023 წლიდან, ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე გავცეთ ერთჯერადი დახმარება – 1 000 ლარის ოდენობით. აქვე, საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა, ჩვენ გვქონდა ამის თაობაზე მსჯელობა, ყველაზე მეტი მრავალშვილიანი ოჯახი არის სოციალურად დაუცველი ოჯახი. ყოველი მესამე, მეოთხე და შემდგომი ბავშვი სოციალურად დაუცველ ოჯახებში იბადებიან, ამიტომ ჩვენი ვალია, რომ კიდევ უფრო მეტი დახმარება მივმართოთ ამ მიმართულებით“.**

ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, მთავრობამ რამდენიმე კვირის წინ მიიღო გადაწყვეტილება და დეკრეტული შვებულების თანხა 1 000 ლარის ნაცვლად, 2 000 ლარი გახდა:

**„ამაზე არაერთხელ მითქვამს საჯაროდ, რომ აუცილებელია ამ მიმართულებით მეტი ჩართულობა. ეს არის მნიშვნელოვანი, ეს არის ეროვნული საკითხი. ამიტომ, დემოგრაფიულ საკითხებს სჭირდება კომპლექსური მიდგომა და საზოგადოების გაერთიანება.**

**რაც შეეხება, ზოგადად, დევნილების მიმართულებით, ჩვენს მიერ გატარებულ პოლიტიკას... იცით, რომ ჩვენ ახლა ვიწყებთ მასშტაბურ პროექტს და 13 000 ოჯახს ავუშენებთ ბინებს, ეს არის 900 მილიონი ლარის პროექტი, მომდევნო ორ-სამ წელიწადში დასრულდება აღნიშნული პროექტი და 13 000 ოჯახს გადაეცემა ბინები. სულ, მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, 29 000-ზე მეტ დევნილ ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართები“,** – დასძინა პრემიერმა.

# „სააკაშვილი რა მდგომარეობაშიცაა, იმის შედეგია, რომ ყველას მტრად რაცხავდა“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

## სკანდალური ინტერვიუ ლელა ქებურიასთან

**„მე უკრაინის მოქალაქე ვარ, ქართულად არ ვილაპარაკებო“, – ქართველებს გაებუტა, 100 ათასი რომ უნდა გამოსულიყო მისი სახელის ხსენებაზე და არ გამოვიდა. ანწუხელიძის ქვეყანაში „გმირი“ ეს არისო, გვასაღებენ და მერე ხალხს ამუნათებენ, თავგანწირვით რატომ არ იბრძვითო“, – ასე გამოეხმაურა ევროპული საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი ნაციონალი ლელა ქებურია მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებას, სასამართლო პროცესზე უკრაინულად ესაუბრა, რისი უფლებაც მოსამართლემ არ მისცა. ქებურიას, სააკაშვილის კრიტიკის გამო, სოციალურ ქსელში ნაციონალური მოძრაობის, უფრო ზუსტად კი მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერები დაუპირისპირდნენ და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართეს... „ვერსია“ ლელა ქებურიას ესაუბრა.**

**– ქალბატონო ლელა, რატომ განეწყვეთ ასე კრიტიკულად მესამე პრეზიდენტის მიმართ?**

– ჩემს პოსტში მხოლოდ მესამე პრეზიდენტის მიმართ კი არ იგულისხმებოდა კრიტიკა, არამედ, მთელი პროცესის მიმართ და ზოგადად, არგუმენტები – „ახლა ამის დრო არ არის“, ან „ახლა რაღაცები უნდა დავმალოთ“ – არ არის სწორი. ყველაფერი უნდა შევაფასოთ სწორად. ის, რომ მიხეილ სააკაშვილი არის პოლიტიკური პატიმარი და მისი უფლებები ირღვევა, უდავოა. არ აქვს მნიშვნელობა, მიხეილ სააკაშვილი დამნაშავეა იმ ბრალში, რომელიც წარდგენილი აქვს თუ არა. ის, კლასიკური გაგებით, პოლიტპატიმარია და ამას წყალი არ გაუვა. პოლიტიკური ნიშნით კი ქვეყანაში არავინ უნდა იდევნებოდეს და ჩემთვის ესაა საკმარისი, რომ საზოგადოება აღშფოთდეს და ქუჩაში გამოვიდეს. მით უმეტეს, ისეთი პარტიის ლიდერი, რომელსაც 500 000-მდე ამომრჩეველი ჰყავს, რაც არჩევნებით დასტურდება ანუ ამ პარტიას თანადგომა არავისი სჭირდება, რომ 100 000 ადამიანი ქუჩაში იდგეს, მაგრამ ეს ხალხი ამას არ აკეთებს და ეს ნიშნავს, რომ რაღაცას არასწორად აკეთებს. არ მგონია, რომ რაც უფრო შესაბრალებლად გამოვაჩენთ სააკაშვილს... აქვე უნდა აღვნიშნო, სიტყვაში „გამოვაჩენთ“ არ ვგულისხმობ, რომ რაღაც სიმულაცია ხდება, მაგრამ რაც უფრო ამძიმებენ, მით უფრო არასერიოზულ სახეს იძენს ეს სიტუაცია. იყენებენ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „საკონცენტრაციო ბანაკი“, „პოლონიუმით მოწამვლა“ და სხვა არგუმენტების გარეშე ნასროლი ფრაზები... ეს არ სძენს არსებულ პროცესს სერიოზულობას. არ ვიცი, ვინ დაგეგმა ეს სტრატეგია, მაგრამ მიმაჩნია, რომ საერთო ოპიზოციურ პროცესს აზიანებს და უხანგრძლივებს „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში ყოფნას. ამ ხელისუფლებასთან ენის მოჩლექით საუბარი, რომ გაუშვან სააკაშვილი, წყლის ნაყვა და საპროტესტოდ განწყობილი ამომრჩევლის მიმართ უპატივცემულობაა.

როდესაც აშშ-ის კონგრესში ზელენსკი გამოვიდა, მსოფლიო მნიშვნელობის დღე იყო თავისუფალი საზოგადოებისთვის და ამ დღეს საქართველოში ჩატარდა ყოფილი პრეზიდენტის ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი, რომელსაც აქვს ოპოზიციურ ფლანგზე ერთადერთი გამორჩეული ლიდერის წონა, გამოვიდა და თქვა, რომ ილაპარაკებს უკრაინულად, რადგან უკრაინის მოქალაქეა! მე არ ვარ მისი ამომრჩეველი, მაგრამ რომ ვიყო, გავბრაზდებოდი იმაზე მეტად, ვიდრე ახლა გავბრაზდი იმიტომ, რომ სააკაშვილი მძიმე მდგომარეობაშია, არ ვაპირებ, არ შევაფასო ის, რაც არ მომწონს? ლიდერი უნდა იყოს მაგალითი თავგანწირვით ბრძოლისა დანარჩენებისთვის, რომ არ შეეგუონ არსებულ სიტუაციას და არა – პირიქით! ეს ხომ პირველად არ მოხდა?! რამდენიმე თვის წინ განაცხადა, ჩემი პარტია პოლიტიკურ აქტიურობას შეწყვეტს, თუ ციხიდან გამათავისუფლებენო. ასევე, გამოდის ადვოკატი და ამბობს, მოწამლა პუტინისტურმა რეჟიმმაო, მეორე დღეს მისი გზავნილია, რომ თუ ვინმემ მომწამლა, ეს არაა ხელისუფლებაო. ეს „რევერანსები“ ამ ხელისუფლების მიმართ, მისი გათავისუფლების სანაცვლოდ, ჩემთვის მიუღებელია.

შეიძლება, ხისტი იყო ჩემი შეფასება, მაგრამ ასეთი ვარ, ასე ვიცი სიმართლის თქმა და თუ ვიღაცისთვის მიუღებელია, ამის გამოხატვაც შესაძლებელია არგუმენტებით და არა – იმ ლანძღვის ნიაღვარით, რომელიც წამოვიდა იმ პარტიის მხრიდან. ჩემთვის ხელისუფლების „ტროლები“ და „ბოტები“, რომლებიც საშინელებებს სჩადიან კრიტიკული აზრის მიმართ, არაფრით განსხვავდებიან იმ „ბოტებისგან“, რომლებიც თავს დამესხნენ სააკაშვილის მხარდამჭერთა სახელით.

**– უკრაინულად საუბარი ხელისუფლების მიმართ ერთგვარი „რევერანსი“ იყო გათავისუფლების მიზნით, თუ ის „გაებუტა“ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობას იმის გამო, რომ ვერ მიიღო ისეთი მხარდაჭერა, რასაც ელოდა?**

– არ არის სწორი იმაზე ვისაუბრო, მე რა მგონია, მაგრამ მეორე დღეს, ქალბატონმა გიული ალასანიამ ახსნა – საუბრობს იმ ენაზე, რომელი ერიც უფასებსო.

**– რეალურად, მიგაჩნიათ მისი ადვოკატების პირობა, რომ თუ სასჯელს გადაუვადებენ, ქართულ პოლიტიკას ჩამოშორდება?**

– არ ვიცი, ვერ ვიმარჩიელებ. როგორც მისი შვილი ამბობს, არაპროგნოზირებადი ადამიანია, მაგრამ ასევე, ამბობს, რომ თუ ეს გააკეთა, მისი მხრიდან უგუნურება იქნება. აქაც პასუხს გავცემ მისი ოჯახის წევრების მიერ ნათქვამით და არა – ჩემი პროგნოზებით, რადგან მართლა შეუძლებელია ამის პროგნოზირება.

**– ქალბატონო ლელა, სააკაშვილის მხარდამჭერები გაკრიტიკებდნენ, რომ პარლამენტში ენმ-ის სიით შეხვედით და შემდეგ წახვედით ევროპულ საქართველოში... როდის შეუერთდით ნაციონალურ მოძრაობას?**

– დიახ, ყველაზე მეტი წყრომა მოდიოდა ამ შინაარსით – მიშას ხმებით მოხვდი პარლამენტშიო. 2014 წელს მოვედი ენმ-ში, ეს ის პერიოდი იყო, როცა პარტიაში კი არ შედიოდნენ, არამედ, პარტიიდან გარბოდნენ. მაშინ ზუგდიდის ცენტრალური უბნის მაჟორიტარობა შემომთავაზეს ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში. ყველაზე რთული ოლქია, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას არ მოუგია მაშინაც კი, როცა ხელისუფლებაში იყო და ამ ურთულეს ოლქში მაჟორიტარობა შემომთავაზა ჩემი ბავშვობის მეგობარმა, ლაშა დამენიამ და ძირითადად, მისი ფაქტორის გამო დავთანხმდი ამ წინადადებას. არ ვიყავი აფილირებული ნაციონალურ მოძრაობასთან, მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს. 2012 წელს დავინიშნე განათლების სამინისტროს რესურს-ცენტრის უფროსად და მაშინაც რთული პერიოდი იყო, როცა ამ შემოთავაზებას დავთანხმდი... მაჟორიტარობას დავთანხმდი იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება ძალიან დიდი ბოღმით მოვიდა და განადგურებით ემუქრებოდნენ ოპონენტებს. ამიტომ, ერთადერთი ძალა ოპიზიციურ ველზე მაშინ იყო ნაციონალური მოძრაობა და ამ მოტივით შევუერთდი. ეს ნაბიჯი ზოგი ჩემი მეგობრისთვის ისეთი შოკი აღმოჩნდა, გამარჯობასაც აღარ მეუბნებოდა. ცოცხებს მიკრავდნენ პლაკატებზე მაშინ, როცა მართლა, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდთან კავშირი არ მქონდა. მზად ვიყავი ამ ტვირთვის აღებაზე, კოორდინატორებს ვერ პოულობდნენ და მე თავად ვარიგებდი ბუკლეტებს კარდაკარ... მოკლედ, დეპუტატი რომ გავმხდარიყავი, ამის არც მოტივაცია და არც სურვილი მქონია, უბრალოდ, ჩავერთე ბრძოლაში... კორცხელში ხელჩართული ვიბრძოდი და ხელკეტებს წინ ვეფარებოდი, უკან არაფერზე დამიხევია...

2016 წელს, რაც მოხდა პარტიაში... რომ ამბობენ, ბოკერიას ფრთა მიშას პარტიას „ახევდაო“, ძალიან მაინტერესებს, როგორ შეიძლებოდა, ბოკერიას მიშასთვის პარტია „აეხია“ იმით, რომ დათო ბაქრაძე გამხდარიყო პარტიის თავმჯდომარე?! ხომ გახდა შემდეგ გრიგოლ ვაშაძე პარტიის თავმდჯომარე, ასევე ნიკა მელიაც. რომელიმემ შეძლო მიშასთვის პარტიის „ახევა“?!

2016 წელს, ენმ-ის საარჩევნო სია იყო საუკეთესო, ვიყავით ის ადამიანები, რომლებმაც პარტიას ახალი სუნთქვა ჩაბერეს და არც ერთი ჩვენგანი, არავის წინაშე არაა ვალში იმიტომ, რომ მაშინ პარლამენტის წევრები გავხდით. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო, რომ ადამიანური ეჭვიანობის გამო, მიშამ მაშინ სწორედ ამ ადამიანებს დაგვიწყო ტალახის სროლა, ვინც სიმართლეს ვეუბნებოდით, მისთვის მტრები გავხდით. მაშინ, რა თქმა უნდა, დავტოვე ენმ და ის გადაწყვეტილება რომ არ ყოფილიყო მიღებული, რომ ერთიანად წამოვსულიყავით, მაინც დავტოვებდი ნაციონალურ მოძრაობას, რადგან მაშინ პარტიაში ყოფნა იყო გაუსაძლისი და ისეთი ნაციონალური მოძრაობა, რომელიც საკუთარი გავლენისთვის იბრძოდა, ვერავის დამარცხებას შეძლებდა. მაშინ ამ პროცესის გაჩერება შეეძლო სააკაშვილს და ეს არ გააკეთა. დარჩა იმ ადამიანების გარემოცვაში, რომლებიც მხოლოდ იმას ეუბნებოდნენ, რისი მოსმენაც უნდოდა. დღესაც მიმაჩნია, რომ სიტუაცია, რაც შექმნილია მის გარშემო და რა მდგომარეობაშიცაა, იმის შედეგია, რომ მტრად რაცხავდა ყველას, ვინც მისთვის სასურველს რეალობად არ წამორმოაჩენდა.

ამ ადამიანებმა შეუქმნეს ილუზია, რომ თუ საქართველოში ჩამოვიდოდა, 100 000 კაცი ქუჩაში გამოვიდოდა, ხელისუფლება დამთავრდებოდა... ამ ილუზიის შექმნას თავად მისცა ბიძგი, რადგან ამის მოსმენა უნდოდა. დღევანდელი სიტუაცია ყველაფერ ამის შედეგია.

**– ქალბატონო ლელა, წეღან საუბრობდით, რომ სააკაშვილის კრიტიკის გამო, ყოფილი თანაგუნდელების მხიდან ლანძღვის ნიაღვარი მიიღეთ... ფიქრობთ, რომ მიხეილ სააკაშვილის ფაქტორს ახლა ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველში დისონანსი შეაქვს, რაც საერთო ოპოზიციურ მიზანს აზიანებს?**

– დღეს რაც ხდება, ყველაზე ძალიან აწყობს „ქართულ ოცნებას“. რამდენი ხანია, არ მოგისმენიათ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, განათლების პრობლემებზე და სხვა აქტუალურ თემებზე საუბარი? ეს საერთოდ აღარ ხდება... ოპოზიციური ამომრჩეველი გაერთიანდება მხოლოდ შინაარსის გარშემო. პოლიტიკური დევნა, შერჩევითი სამართალი, ადამიანის უფლებები, სამართლიანი სასამართლო, ევროპული არჩევანი, შესაძლებელია, იყოს ის შინაარსი, რომლის გარშემოც საპროტესტო ელექტორატი შეძლებს გაერთიანებას იმიტომ, რომ მათი დაკვეთა ესაა და ამ შინაარსის ნაწილია სააკაშვილიც და მისი პოლიტპატიმრობაც. უფრო მოკლე გზა, უბრალოდ, არ არსებობს.

# როგორ მოიპოვა ქართულმა მხარემ მტკიცებულებები, რომლითაც ჰააგის სასამართლომ აგვისტოს ომის დამნაშავეებზე ძებნა გამოაცხადა

თათია გოჩაძე
598-43-50-34

**პაატა დავითაია: „ბედნიერი ვარ, რომ ჰააგამ სანქციები ჩემ მიერ გადაცემული მტკიცებულებების საფუძველზე გასცა!“**

**2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე ჰააგის სასამართლომ გამოძიება დაასრულა. „დღეს შემიძლია, დავადასტურო, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეების გარდა, ჩემი ოფისი აღარ გააგრძელებს გამოძიებას ახალი მიმართულებით საქართველოს სიტუაციის ფარგლებში სხვა პირთა სავარაუდო სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ან სხვა ქმედებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვინაიდან გარემოებები არსებითად არ შეცვლილა, საქართველოს სიტუაციის გამოძიების ეტაპი დასრულდა. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მე უკვე ვაცნობე საქართველოს ხელისუფლებას“, – ნათქვამია პროკურორის განცხადებაში. ამასთან, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი კარიმ ასად ახმად ხანი განმარტავს: „მუშაობა საქართველოს სიტუაციასთან დაკავშირებით არ დასრულებულა. ჩემი ოფისი აგრძელებს და გააგრძელებს თავისი ძალისხმევის მიმართვას დაპატიმრების ორდერის ადრესატების სამართალში მისაცემად... მომავალში კვლავაც აუცილებელი იქნება ჩემი ოფისისა და მისი პარტნიორების ერთობლივი ძალისხმევა, რათა მოხდეს ჯერ კიდევ თავისუფლებაში მყოფი ეჭვმიტანილების ადგილსამყოფლის დადგენა და მათი დაკავება, ასევე, არსებული საქმეების განხილვა, რომლებმაც სასამართლო განხილვის დაწყებიდან საბოლოო სააპელაციო წარმოების ჩათვლით, ყველა ეტაპი უნდა გაიარონ, მათ შორის, ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, რეპარაციების ეტაპიც. აღნიშნული საქმეები სასამართლო პალატების წარმოებაში დარჩება, ხოლო სასამართლოს კანცელარია თავისი მრავალგანზომილებიანი მანდატის განხორციელებას გააგრძელებს“.**

**30 ივნისს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პირველმა წინასასამართლო პალატამ საქართველოს საქმეზე სამი ადამიანის: მიხაილ მინძაევის, გამლეტ გუჩმაზოვისა და დავიდ სანაკოევის დაკავების ორდერების საჯარო ვერსიები გამოაქვეყნა. დაკავების ორდერები უკავშირდება მათ ქმედებას 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს შორის შეიარაღებული კონფლიქტის დროს. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, გამოძიების მოთხოვნით, საქართველომ მიმართა. 2016 წლის 27 იანვარს, პირველმა წინასასამართლო პალატამ პროკურორს უფლებამოსილება მიანიჭა, დაეწყო გამოძიება სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ არსებული იმ დანაშაულების გამოსაძიებლად, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩადენილია ე.წ. სამხრეთ ოსეთში, საქართველოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე პერიოდში. 2022 წლის 10 მარტს, საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა პირველი დაპატიმრების ორდერები გასცა. დე-ფაქტო საგარეო უწყების ცნობით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არალეგიტიმურია და არანაირი პერსპექტივა არ ექნება.**

**2008 წლის აგვისტოს ომს საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე და 14 პოლიციელი შეეწირა. თავდაცვის სამინისტროს ბოლო მონაცემებით, დაღუპულად მიიჩნევა 169 სამხედრო. ომის დროს დაიჭრა 1 747 ადამიანი. საკუთარი სახლი დატოვა თითქმის 150 000-მა პირმა, მათგან დღემდე დევნილობაში რჩება 30 000-მდე ადამიანი. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, საქართველომ კონტროლი დაკარგა 189 სოფელზე, მათგან 125 – დღემდე, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის ქვეშაა, – წერია „რადიო თავისუფლების“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში. ჰააგის სასამართლოს ისტორიული გადაწყვეტილების შესახებ „ვერსია“ ევროპელი დემოკრატების ლიდერ პაატა დავითაიას ესაუბრა, რომელიც 2008 წლის ომის დროს, დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე იყო:**

**– ბატონო პაატა, ჰააგის გადაწყვეტილებას რა წონა აქვს პოლიტიკური თვალსაზრისით, საერთაშორისო ასპექტში?**

– ეს, მართლაც ისტორიული გადაწყვეტილებაა იმიტომ, რომ ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ დაასრულა გამოძიება საქართველოსთან დაკავშირებით და დაადგინა, რომ დანაშაული არ ჩაუდენია საქართველოს ერთ ჯარისკაცსაც კი, კაცობრიობის წინაშე. ჰააგის სასამართლოს პროკურატურა არ იძიებდა ომის დაწყების თემას, არამედ, იძიებდა დანაშაულის საკითხს. მთავარი, რასაც ჰააგის პროკურატურამ გაუსვა ხაზი, ისაა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები აწარმოებდნენ თავდაცვით ომს. ე.ი. ეს დასკვნა არის იდენტური დროებითი საპარლამენტო კომისიის იმ დასკვნისა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი.

მინდა, შეგახსენოთ ტალიავინის კომისია, რომელიც ექსპერტებით იყო დაკომპლექტებული. იმ კომისიასა და ჩემი კომისიის დასკვნებს შორის იყო ერთი განსხვავება – ტალიავინის კომისიის დასკვნაში ეწერა, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გადაამეტეს ძალის გამოყენებას. მაშინ ვამბობდი, რომ ძალიან რთულია ომის პერიოდში ძალის გადამატების დადგენა და ჰააგის გამოძიებამ დაადგინა, რომ საქართველომ კი არ გადაამეტა, არამედ, თავდაცვით ომს აწარმოებდა. ამით ყველა კითხვის ნიშანი მოხსნილია.

აგრეთვე, მინდა, ხაზი გავუსვა, რომ რა მტკიცებულებებიც დროებითმა საპარლამენტო კომისიამ გადასცა ჰააგის პროკურატურას, ზუსტად იმ დამნაშავეებზე გაიცა სანქციები. რა მტკიცებულებებიც დროებითი საპარლამენტო კომისიის დროს იქნა მოპოვებული – აუდიოჩანაწერები მინძაევსა და დანარჩენ ბრალდებულებზე, მხოლოდ მათზე გაიცა სანქციები, რადგან იყო უშუალო მტკიცებულება – აუდიოჩანაწერი, სადაც საუბარი იყო დანაშაულზე და მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებაზე, რაც პრინციპული თემაა.

**– ეს მტკიცებულებები როგორ იქნა მოპოვებული?**

– ეს ძალიან სერიოზული ნამუშევარი იყო არა მხოლოდ ჩემი, არამედ, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის, რომელმაც უნიკალური ოპერაცია ჩაატარა. კონტრდაზვერვის სამი ოფიცერი გადავიდა ფრონტის ხაზზე, სადაც ზურგჩანთებში ჰქონდათ მობილური კავშირების პელენგატორები და რუსულ მობილურ კავშირებს წერდნენ. იმ სამ ოფიცერს ქართველი მოკლავდა თუ რუსი, არავინ იცოდა. მათ ჩაწერეს მობილური საუბრები და ამის საფუძველზე ამოვარდა მინძაევის, ბორისოვისა და ყველა ბრალდებულის დანაშაული. ეს უნიკალური ოპერაცია იყო, რაც გახდა მთავარი საფუძველი იმ მტკიცებულებებისა, რომლებიც მოიპოვა კომისიამ და გადასცა ჰააგის სასამართლოს.

ჰააგის სასამართლოში დაიხურა გამოძიება, მაგრამ გრძელდება მუშაობა მანამდე, სანამ არ დააკავებენ მინძაევსა და მისნაირებს, რადგან მათი დაკავების შემდეგ გაირკვევა, ვინ გასცა ბრძანება და ეს ნიშნავს, რომ მორჩა სპეკულაცია ომის დაწყებასთან დაკავშირებით იმიტომ, რომ ცალსახად წერია – საქართველო აწარმოებდა თავდაცვით ომს. როცა კომისიის თავმჯდომარე ვიყავი, ჩემი უშუალო მოთხოვნით, დასკვნაში ჩაიწერა, რომ ცხინვალში შევედით ჩვენ. ეს იმიტომ, რომ შემოდიოდა რუსული ჯარი და მთავარსარდალმა გასცა ბრძანება, ქართული ჯარი შესულიყო და შეექმნათ ე.წ. დერეფანი, მშვიდობიანი მოსახლეობის გამოსაყვანად. ზუსტად ეს დაამტკიცა ჰააგის პროკურატურის გამოძიებამ.

ეს მართლაც ისტორიული თემაა და ვფიქრობ, ამით ყველა უნდა ამაყობდეს – როგორც წინა ხელისუფლების, ასევე – დღევანდელმა პროკურატურამ ძალიან სერიოზული სამუშაო გასწია, მტკიცებულებები მიაწოდა. ეს არაა რომელიმე ხელისუფლების თემა, არამედ, ესაა ქართული სახელმწიფოს გამარჯვება. ეს გვაძლევს საშუალებას, ხვალ უფრო ძლიერები ვიყოთ, არ გვეშინოდეს ე.წ. მცოცავი ოკუპაციისა. დამტკიცდა, რომ ჩვენ ვაწარმოებდით თავდაცვით ომს, ჩვენს ტერიტორიაზე. ეს უნდა გამოიყენოს ხელისუფლებამ კარგად.

**– ბატონო პაატა, საგამოძიებო კომისიის შესახებაც მიამბეთ, რომელიც თქვენი ხელმძღვანელობით შეიქმნა...**

– 2008 წელს, სამი თვის განმავლობაში მუშაობდა... ეს არ იყო საგამოძიებო, არამედ, იყო დროებითი საპარლამენტო კომისია. გამოძიების ჩატარების უფლებაც არ მქონდა, მხოლოდ მოსმენის უფლება მქონდა და აღმოვაჩინე დანაშაულები, რის შესახებაც მტკიცებულებები გადავუგზავნე პროკურატურას. ხაზი მინდა, გავუსვა, რომ ჩემი მაშინდელი, სამთვიანი მუშაობა, ჰააგის პროკურატურის დასკვნასთან ერთი-ერთში დაჯდა და იმაზე ვწუხვარ, რომ არავინ კითხულობს ამ დასკვნას, მხოლოდ ფინჯან ყავაზე ჭორაობენ.

ბედნიერი ვარ, რომ ჩემ მიერ გადაცემული მტკიცებულებების საფუძველზე გაიცა სანქციები.

# 2022 – წელი, რომელმაც მსოფლიო ამოაყირავა

ნინო დოლიძე

**2022 ბოლოში გავიდა და, როგორც წესი, ამ დროს წლის მოვლენებს აჯამებენ ხოლმე. წელს ბევრი რამ მოხდა, შესაბამისად, 2022 მხოლოდ საქართველოსთვის კი არა, მსოფლიოსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო – ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რუსეთი უკრაინაში შეიჭრა ანუ წელს პუტინში სისხლის წყურვილი გაასმაგდა და კრემლის დიქტატორის ბინძურმა ვნებებმა უკრაინაში უამრავი უდანაშაულო ადამიანი, მათ შორის, ბავშვებიც შეიწირა. ამ ფონზე, ცოტა ცინიკურია ლავროვის ეჭვი, აი, აშშ პუტინის ლიკვიდაციას გეგმავსო. ზოგადად, ლავროვს და, შესაბამისად, პუტინსაც ბევრი ეჭვი აქვთ და ალბათ, იმასაც ვარაუდობენ, რომ წლევანდელმა წელმა რუსული არმიის უძლეველობის მითი მიწასთან გაასწორა, მაგრამ კრემლი ამას ხმამაღლა არასოდეს აღიარებს და „თავის დაძვრენას“ შეეცდება. თავის დასაძვრენად კი ათასგვარ ხრიკს გამოიყენებს, მათ შორის, ატომური იარაღის გამოყენებაზე მინიშნებასაც.**

„რა გითხრათ, რით გაგახაროთ“ ანუ მოკლედ ყველაფერ იმაზე, რაც მოხდა

დიახ, ატიმური იარაღი პუტინის ბოლო იმედია, მაგრამ ყველა, ვინც ომის კანონებში კარგად ერკვევა, ერთხმად ამბობს, რომ ვლადიმერ ვლადიმერის ძე „პნოპკას“ თითს არ დააჭერს. რატომ? – ეს სხვა საუბრის თემაა. ფაქტი კი ისაა, რომ 2022-მა მსოფლიო პოლიტიკაში გარდამტეხი როლი შეასრულა ანუ ნათლად გამოჩნდა, რომ დედამიწა ახალი ჰიტლერის დაბადებას არ შეეგუება და ყველა ერთისთვის ისე იქნება, როგორც ერთი – ყველასთვის.

ამ ფონზე, ბუნებრივია, რომ ვოლოდიმირ ზელენსკი მსოფლიოს გავლენიანმა გამოცემებმა წლის ადამიანად დაასახელეს. ასევე, ბაიდენმა აშშ-ში ჩასულ ზელენსკის უთხრა, რომ ის აშშ-ის წლის ადამიანიაცაა. უკრაინაც რომ წლის ქვეყანა გახდა, ცხადია, არც ეს არის გასაკვირი.

ასევე, ისიც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ უკრაინამ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი უპრობლემოდ მიიღო.

მართალია, ამ თემაზე განაცხადი საქართველომაც გააკეთა, მაგრამ ამჯერად, ბედმა არ გაგვიღიმა – ევროპამ გვითხრა, ჯერ პატარები ხართ, ცოტა წამოიზარდეთ, მოქცევის წესები ისწავლეთ და ჩემს კარზე მერე დააკაკუნეთო.

ხატოვანი საუბარი იქით იყოს და, გულწრფელები თუ ვიქნებით, კანდიდატობაზე უარის თქმაში ჩვენი წილი ბრალიც უნდა ვაღიაროთ, თუმცა აქ მხოლოდ რომელიმე ერთი მხარე – ხელისუფლება ან ოპოზიცია კი არა, მთლიანად პოლიტიკური ე.წ. ელიტაა დამნაშავე.

საერთოდ, ბოლო სამი ათეული წელია, ჩვენი პოლიტიკური ელიტა ერთსა და იმავე წრეზე ტრიალებს.

დიახ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პოლიტელიტა გამოსაცვლელია ანუ უფრო ნათლად და გასაგებად რომ ვთქვათ, ხალხს ერთი და იგივე ადამიანების ყურება და მათგან ჭკუის სწავლება მობეზრდა. აი, ავიღოთ, თუნდაც ენმ-ს ე.წ. ლიდერები, მათ ხელში თაობები გაიზარდნენ. ისინი კი ხან ხელისუფლებაში არიან („მოქკავშირიდან“ მოყოლებული), ხან – ოპოზიციაში და ორივე შემთხვევაში, თავი ისე უჭირავთ, თითქოს, ყველაზე ბრძენნი არიან და მათ გარეშე, ცაში ჩიტი შეწყვეტს ფრენას, მიწაზე კი ჭიანჭველაც აღარ ივლის.

არადა, ესეც, რუსეთის არმიის უძლეველობისა არ იყოს, მითია და მეტი არაფერი.

დიახ, ისიც მითი გახლდათ, ვენებს რომ იხსნიდნენ ვიღაცები, აი, ენმ-ზე შეკრული და იდეის გარშემო გაერთიანებული პარტია არ არსებობსო, თუმცა ბოლო მოვლენებმა ნათელჰყო, რომ ენმ დაშლის პირასაა.

ზოგადად, ბოლო ათ წელში, ერთ დროს მმართველი პარტია რამდენჯერმე დაიშალა მარტივ მამრავლებად – ბოკერია წავიდა, გიორგი ვაშაძე წავიდა, ზურა ჯაფარიძე წავიდა...

ახლა ენმ თავმჯდომარის არჩევნებისთვის ემზადება. ზოგი ამბობს, რომ ე.წ. პარტიული ბუნტი და მიხეილ სააკაშვილის გარშემო ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ერთმანეთთან კავშირშია.

ამასთან, საუბარი იმაზეც მიდის, რომ სააკაშვილის საქართველოში „შემოპარვა“ ერთგვარი პოლიტიკური სპეცოპერაცია იყო, რომელსაც ბევრი მიზანი ჰქონდა, თუმცა ახლა, ასეთ მითქმა-მოთქმაზე აქცენტის გაკეთება არ ღირს, თან ჩვენ 2022 წლის მოვლენებს ვაჯამებთ და არა – ენმ-ს შიდაპარტიულ ინტრიგებს.

ამასობაში კი, ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი სასიკეთო ძვრებია.

**„ჩვენი გონივრული, თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, დღეს, ქვეყანაში გვაქვს არა თუ მშვიდობა და სტაბილურობა, გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა მაშინ, როცა კარგად მოგეხსენებათ, რომ ევროპაში არის ძალიან რთული ვითარება, მთელ მსოფლიოში არის ეკონომიკის შემცირება, რეცესია და რეალურად, ძალიან არაპროგნოზირებადი გარემოა შექმნილი დღეს მსოფლიოში. ამ ვითარებაში, ჩვენი პატარა, მაგრამ ძლიერი სახელმწიფო ინარჩუნებს მშვიდობას, კეთილდღეობას, სტაბილურობას და ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას“,** – განაცხადა რამდენიმე დღის წინ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა.

ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, ორი სიტყვით, ასეთი იყო 2022 საქართველოსა და მსოფლიოსთვის და ისე, რაოდენ გასაკვირადაც უნდა მოგეჩვენოთ, ახლაც აქტუალურია ილიას უკვდავი – „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“.

ჰო, ვერაფრით გაგახარებთ და ამიტომაც, მოდით, თვალი ისევ ილიას ამ უკვდავი ნააზრევიდან ამონარიდს გადაავლეთ:

**„აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი... რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვეხოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ, ან ნანვითა ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად სად წახვედი!“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვიდინ, დღეო სიხარულისაო!“ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?**

**ნუთუ, ისევე ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი“... სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თვითონაც თითი გავძრათ. ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქმნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა სხლავს, არა ჰფურჩქნის, არ უვლის, არ ჰპატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე. დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. რა კაცობა გამოვიჩინეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?**

**ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს – ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბერტყაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლეობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიათ, სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?**

**... არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით. ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან – და შინ გადავიჩეხებით დედა-ბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვეღარ გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და უღონოდა ვბზუით – „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდან არა გამოდის რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის. ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცო ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვს: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?**

**1897 წ. 31დეკემბერი“**

# რა სიახლეები ინერგება მართვის მოწმობის ასაღებად

ია გრიგალაშვილი

## ექსკლუზიური ინტერვიუ მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილესთან

**2023 წლის 1 სექტემბრიდან, მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე, მგზავრობის დაწყებამდე, სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობის შემოწმება სავალდებულო იქნება. მძღოლობის კანდიდატმა სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ გამართულობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებს პასუხი ვიზუალურად უნდა გასცეს – ჩვენებით, შესაბამისი ხელსაწყოს გამოყენებით ან სხვა მოქმედებით ან/და ზეპირად. გამომცდელმა, შეიძლება, მძღოლობის კანდიდატს შერჩევითად – 20-კითხვიანი დავალებებიდან ნებისმიერი ორი დავალება მისცეს. ასევე, მიმდინარე წლის 25 აპრილიდან, B და BE კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა ორეტაპიანი გახდა. პირველი ეტაპი კვლავ დახურულ მოედანზე ტარდება, მეორე ეტაპი კი – რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში. მძღოლობის კანდიდატს უფლება აქვს, პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე, თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გავიდეს, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე კი – პირველი ეტაპის წარმატებით ჩაბარებიდან 365 დღის განმავლობაში. თავდაპირველად, აღნიშნულ ცვლილებას საზოგადოების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ნაწილი აღნიშნავდა, რომ გამოცდის ქალაქში ჩაბარება კარგია და მძღოლობის კანდიდატს მეტ გამოცდილებას შესძენს, ნაწილის აზრით კი, მეორე ეტაპის დამატება ზედმეტი იყო და გამოცდას გართულება არ სჭირდებოდა.**

**როგორ აფასებენ მოქალაქეები რვა თვის შემდეგ, მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპს და რას ფიქრობენ ახალ კანონზე, რომელიც 2023 წლის პირველ სექტემბერს ამოქმედდება? – „ვერსიამ“ ისინი გამოკითხა, რომელებიც გამოცდაზე გასასვლელად ემზადებიან, ან ბოლო რვა თვის განმავლობაში აიღეს მართვის მოწმობა.**

**ხათუნა:** – არ იყო საჭირო ახალი კითხვების დამატება, გაუმართავ მანქანაზე არავინ დაჯდება, ისევ ფულის შოვნის გზაა.

**მარიამი:** – უაზრობა... ყველა ხელოსანი ვერ იქნეა... რაც შეეხება ქალაქის გამოცდას, სრული არეულობაა. ბათუმში ვცხოვრობ და ისეთი საშინელი მოძრაობაა, ვინ საიდან გამოგიხტება, ვერ გაიგებ, სხვის გამო, შენ გჭრიან... ჯერ უნდა მოეწესრიგებინათ საგამოცდო ლოკაციები და შემდეგ დაეშვათ გამოცდა... ქუჩაში სრული განუკითხაობაა.

**მადონა:** – მიუხედავად იმისა, რომ სამჯერ ჩავიჭერი და ჯერ ისევ ვიბრძვი მოწმობისთვის, ვიტყოდი, რომ მესამე ეტაპი კარგია, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიანად ჩატარდება და ფასები ადეკვატური იქნება. ყველაფერს იმდენი თანხა სჭირდება, ერთი მანქანის ფული დავხარჯე უკვე. კარგი ისაა, რომ აღარ მეშინია საჭის და მარტივად შემიძლია ვმართო, ადრე კი მოწმობას აიღებდნენ და ვერ სხდებოდნენ საჭესთან. ახალი პრაქტიკული კითხვების დამატება ძალიან მეზედმეტება.

**თამუნა:** – სექტემბრიდან რაც ემატება, ნამდვილად არ იყო საჭირო, რადგან ისედაც ძალიან ელემენტარულ საკითხებზე ჭრიან, რომელსაც მძღოლების 90% არ ასრულებს. გზა მოუწესრიგებელია, არ არის დახაზული და აწყობთ კიდეც, ჭრიან და აკეთებენ ფულს. ამას პლუსიც აქვს – მართვას სწავლობ, მაგრამ რა ფასად, შეამცირონ ფასები.

**დავითი:** – ზოგი ქალაქი საშინელებაა გამოცდისთვის, მაგრამ მოწესრიგებული რომ იყოს და ყველა საკითხზე არ ჭრიდნენ, რაღაც მხრივ, კარგია. ცალკე – მასწავლებლებთან, ცალკე – გამოცდებზე გასასვლელად უამრავი ფული იხარჯება, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან ბევრია, თან ამ გამოცდებით წესრიგს ვერ დაამყარებთ.

**ნინო:** – მძღოლი თუ თავხედია, რა მნიშვნელობა აქვს, როგორ აიღო მართვის მოწმობა. რასაც ვუყურებ, ქალაქში საშინელი მოძრაობაა, ქვეითებს არ გვითმობენ გზას, რომ გავიაროთ მშვიდად, არადა, თეორიაში აქვთ ნასწავლი, რომ ქვეითს გზა უნდა დაუთმონ, რაც100-დან 10% თუ ასრულებს. სწავლის გართულება არ მოაგვარებს იმ საგზაო პრობლემებს, რაც დღეს ხდება. კანონი უნდა გამკაცრდეს, მარტო ჯარიმებს კი არ უნდა იხდიდენ, არამედ, ჩამოერთვას მართვის მოწმობა, ვინც არ ემორჩილება საგზაო წესებს. მაშინ იქნება უსაფრთხო მოძრაობა მანქანისთვისაც და ქვეითებისთვისაც.

**ხატია:** – ჩემი აზრით, მესამე ეტაპი იმისთვისაა, რომ ძალიან დიდი თანხები შევიდეს ბიუჯეტში. იმდენად დიდი ქაოსია, ვერც რეგისტრირდები და შემდეგ იძულებული ხარ, გადაიხადო 250 ლარი და გახვიდე არაგეგმიურზე. მოუწესრიგებელია გზის მარშუტები და ახლა რა კანონის შემოღებაც უნდათ, მართლა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

**მამუკა:** – საჭირო იყო ნამდვილად, ელემენტარული საკითხები მძღოლობის ყველა კანდიდატმა უნდა იცოდეს. რანაირი მანქანა გყავს, აზრზე უნდა იყო. ხელოსანთან ხომ არ ივლი ყოველ დილით? ბენზინი გეყოფა გზაზე? მუხრუჭები გამართულია? ციმციმები, ავარიული, შორი და ახლო განათების ფარები და ა.შ. თუ მძღოლი გქვია, ყველაფერი უნდა იცოდე, მაინც მოგვიწევს ამ საკითხების ცოდნა, უცოდინარი საჭესთან – არ შეიძლება!

**ლილე:** – მესამე ეტაპი არის ფულის მახე, ისეთ რაამეებზე ჩამჭრეს ორჯერ გორში, სრულიად უსამართლო იყო. ხალხის აზრი რომ გაითვალისწინონ, კარგი იქნება და მოხსნან ეს ეტაპი ან დაუკლონ ფასს, მართლაც, ბევრი ამის გამო უარს ამბობს მოწმობაზე, რომ არ აქვს საშუალება.

**შოთა:** – ვფიქრობ, მესამე ეტაპის დამატება კარგია და საჭიროც იყო, თუმცა საგამოცდო ქალაქების უმეტესობა არ არის მზად ამისთვის და არც ფასია საქართველოს ფონზე შესაფერისი.

**თიპა:** – ვფიქრობ, რაც შემოიღეს, ყველაფერი საჭიროა, უბრალოდ, მკაცრი წესები აქვთ და მარტივად ჭრიან ყველაფერზე, თორემ მე პირადად, რომ ავიღებ მართვის მოწმობას, მერე ეგრევე გავალ ქალაქში, უპრობლემოდ. მანქანის შემოწმებაც უნდა იცოდნენ მძღოლებმა უსაფრთხოებისთვისვე, უბრალოდ, უნდა გაამარტივონ წესები და პატარა შეცდომაზე შანსი ჰქონდეთ გამოსწორების, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლაც, ფულის მახედ ითვლება... ორი წუთი რომ შემოიღეს მოედანზე, ეგაა ყველაზე უაზრობა და ვრწმუნდები, ამით ჩაჭრაზე არიან ორიენტირებულნი, რადგან ამ დროს ჩქარობს გამოსაცდელი და სიჩქარეში ადამიანების უმეტესობა იჭრება.

*დასასრული მე-8 გვერდზე*



# რა სიახლეები ინერგება მართვის მოწმობის ასაღებად

*მე-7 გვერდიდან*

ამხელა ფასი არ უნდა ჰქონდეს პრაქტიკული გამოცდის გეგმიურ მეორე ეტაპს, ან თუ ექნება, არაგეგმიური არ უნდა იყოს გასსამმაგებული ფასით.

**გიორგი:** – სწავლა ძალიან კარგია და მივესალმები ყველაფერ ამას, მაგრამ ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ბიუჯეტის შევსების ძალიან კარგ საშუალებას მიაგნეს.

**ვიქტორია:** – მთავარი პრობლემა მაღალი ფასებია, ჩვენს ეკონომიკურ მდგომარეობასთან შედარებით, ამას მოაქვს მთელი რიგი უკმაყოფილება, მაგრამ ფასებს არავინ დაუწევს, ამიტომაც დაამატეს ეს მესამე ეტაპი.

* * *

**გამოკითხვით გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, რომლებსაც მოქალაქეები მართვის მოწმობის პრაქტიკულ გამოცდაზე აწყდებიან. ასევე, საინტერესოა, 25 აპრილს შემოღებული ცვლილებიდან, როგორია სტატისტიკა ანუ რამდენმა ადამიანმა აიღო მოწმობა და გამოსწორდება თუ არა სხვადასხვა ხარვეზი? – „ვერსია“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე ᲘᲛᲔᲓᲐ ᲛᲐᲙᲐᲡᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ესაუბრა.**

**– ბატონო იმედა, თუ არსებობს სტატისტიკა, რამდენი ადამიანი გავიდა მართვის მოწმობის პრაქტიკული ნაწილის მეორე ეტაპის გამოცდაზე, რამდენმა ჩააბარა (აიღო მოწმობა) და რამდენი ჩაიჭრა პირველივე ცდაზე?**

– დღეის მდგომარეობით, მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის გამოცდაზე გამსვლელთა, დაახლოებით, 18-20%-მა მიიღო დადებითი შესაფება. რა თქმა უნდა, ეს დიდი მაჩვენებელი არ არის იმის გათვალისწინებით, რომ გამოცდის ჩაბარების ეს ეტაპი სიახლეა. ვიმედოვნებთ, მომავალში კანდიდატებიც უფრო მომზადებულები მოვლენ.

**– მართვის მოწმობის აღების მსურველებს უჭირთ პრაქტიკული ნაწილის დაჯავშნა, რადგან ბაზების გახსნისთანავე, ადგილები ივსება, განსაკუთრებით, რუსთავში. როგორ შეიძლება, ეს პრობლემა მოგვარდეს და ხომ არ იგეგმება გამომცდელების დამატება?**

– პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე ყველა სტრუქტურულ ერთეულში დაემატა საგამოცდო ავტომობილები, ასევე, ნოემბრიდან, ზუგდიდში შესაძლებელი გახდა გამოცდის ჩაბარება, რაც აქამდე ინფრასტრუქტურული სამუშაოებიდან გამომდინარე ვერ ხორციელდებოდა. რუსთავში, გამოცდაზე გასვლის მსურველთა ყველაზე მეტი რაოდენობა ფიქსირდება, შესაბამისად, სხვა ქალაქებთან შედარებით, დროის ყველაზე მოკლე მონაკვეთში ხდება თავისუფალი ადგილების დაჯავშნა, თუმცა მსურველს შესაძლებელობა აქვს, სხვა ქალაქში ჩააბაროს გამოცდის ეს ეტაპი.

2023 წელს, იგეგმება სატრანსპორტო საშუალებების შეძენა და თანამშრომლების დამატება, რომლებიც მოემსახურებიან პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპს.

**– როგორც მოქალაქეების უმეტესობა აღნიშნავს, პრაქტიკული ნაწილის გამოცდაზე რეგისტრაცია ზემდეტად ძვირია, ხომ არ არის შესაძლებელი გადაიხედოს ფასები და უფრო ხელმისაწვდომი გახდეს?**

– 2022 წლის 26 აპრილამდე, კანდიდატებს, რომელთაც სურდათ პრაქტიკული გამოცდა დახურულ მოედანზე ჩაებარებინათ ავტომატურ გადაცემათა კოლოფიან სატრანსპორტო საშუალებაზე, დამატებით უწევდათ 40 ლარის გადახდა თითოეულ გასვლაზე. ჩვენ ეს საფასური გავაუქმეთ, 26 აპრილიდან, მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის საფასური სრულად მოიცავს პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპს. ამჟამად, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საფასური შეადგენს 90 ლარს, თუმცა არსებობს შეღავათები არსრულწლოვანი და სოციალურად დაუცველი კანდიდატების შემთხვევაში.

**– ქუჩებში მოუწესრიგებელია გადაადგილება, მაგალითად, ბათუმში, რიგითი მძღოლები მუდმივად არღვევენ წესებს და ხელს უშლიან გამოცდაზე მყოფ პირებს, ითვალისწინებს თუ არა ამ პრობლემას შსს-ს მომსახურების სააგენტო და მუშაობთ თუ არა ამ საკითხის მოგვარებაზე?**

– პრაქტიკული გამოცდის მიზანია, რეალურ საგზაო მოძრაობის პირობებში შემოწმდეს კანდიდატის უნარები, თუ რამდენად სწორად რეაგირებს სხვა საგზაო მოძრაობის მონაწილეების მიმართ. რაც შეეხება მძღოლების მხრიდან წესებს დარღვევას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა და ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

**– 2023 წლის სექტემბრიდან, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე, მგზავრობის დაწყებამდე სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობის შემოწმება სავალდებულო გახდება. რამდენად აუცილებელი და საჭირო იყო მსგავსი კითხვების დამატება?**

– პირველ რიგში, მსურს, აღვნიშნო, რომ აღნიშნული ცვლილება განპირობებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე. საქართველომ მართვის მოწმობების თაობაზე ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/126/EC დირექტივის მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 მუხლების მეორე და მესამე დანართების მოთხოვნათა შესრულება იკისრა.

სატრანსპორტო საშუალების B კატეგორიის მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე, სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები და შესაბამისი კითხვები, პასუხებთან ერთად, მოცემულია შს მინისტრის 598-ე ბრძანების 38-ე მუხლის მეშვიდე პუნქტში. სულ არის 20 კითხვა, გამომცდელი კანდიდატს დაუსვამს მხოლოდ ორ კითხვას.

აღნიშნული ცვლილებით, მომავალში გვეყოლება მძღოლები, რომლებსაც მეტი ცოდნა ექნებათ ავტომობილის ტექნიკურ გამართულობასთან დაკავშირებით. ყველა მძღოლს უნდა ჰყავდეს მოწესრიგებული ავტომობილი და ზრუნავდეს თავის და გარშემომყოფების უსაფრთხოებაზე. კითხვები არის ორი სახის, კანდიდატს შეუძლია ზეპირად უპასუხოს, ან ვიზუალურად აჩვენოს და ახსნას ესა თუ ის დეტალი.

**– გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე ანუ მოედანზე ერთი მანევრის შესრულების დრო 2 წუთამდე შეიზღუდა, ეს სიმართლეს შეესაბამება?**

– მართვის უფლების მისაღებ, პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე (მოედანი) ყველა კატეგორიისთვის დაწესებულია ელემენტის შესრულების დრო, რომელიც აითვლება მანევრის შესრულებიდან. B კატეგორიის თითოეული ელემენტისთვის დაწესებულია 2 წუთი, C, D, C1 და D1 კატეგორია/ქვეკატეგორიებისთვის – 4 წუთი, ხოლო BE, CE, DE, C1E და D1E კატეგორია/ქვეკატეგორიებისთვის – 7 წუთი.

**– აწვდით თუ არა ლიცენზირებულ ავტოსკოლებს ინფორმაციას სიახლეების შესახებ?**

– დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივ კომუნიკაციაში ვართ, ასევე, ყველა მნიშვნელოვანი სიახლე ქვეყნდება მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. გარდა ამისა, ქვეყნდება ნორმატიული აქტი, სადაც მიმდინარე თუ დაგეგმილი ცვლილებების შესახებ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია, მისი ძალაში შესვლის თარიღით.

# სამართალი

№51 28 დეკემბერი 2022 წ


# ევროპაში გაქცეული ქართველი „კანონიერი ქურდები“ საქართველოში ახალგაზრდებს ფულს სძალავენ

## ვინ არიან „ფორთოხლები“ და როგორ ატერორებს კრიმინალური სამყარო ქართველ ემიგრანტებს


ბათო ჯაფარიძე


**დეკემბერში, სამართალდამცავებმა რამდენიმე მასშტაბური სპეცოპერაცია ჩაატარეს და ნარკოტიკების გამსაღებლებთან ერთად, „ქურდულ სამყაროსთან“ დაკავშირებული პირებიც დააკავეს. ნარკოტიკების გასაღებამ საქართველოში უპრეცედენტო მასშტაბები მიიღო. უფრო სწორედ, გასაღების მცდელობამ, რადგან ძალოვნების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძალიან ბევრ შემთხვევაში, გამსაღებლებს ფაქტზე აკავებენ, მაგრამ ინტერნეტის გამოყენებით, ნარკოდილერები სულ უფრო რთულ სქემებს იგონებენ და ხშირად, მათ კვალზე გასვლა გამორიცხულია. ამას ხელს კრიპტოვალუტაც უწყობს, რადგან ანგარიშსწორება სწორედ კრიპტოსაფულით ხდება და მისი კვალის პოვნა შეუძლებელია. ჰოდა, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ნარკოდამოკიდებული ადამიანი ძალიან კარგად ერკვევა კრიპტობირჟასა და კრიპტოვალუტაში. სხვათა შორის, აღნიშნული პრობლემა მხოლოდ ქართველი სამართალდამცავების თავის ტკივილი არ გახლავთ, ის ბევრად მასშტაბურია და როგორც ევროპის, ისე აშშ-ის ძალოვნებიც ფიქრობენ, რომ კრიპტოვალუტის მოძრაობა, როგორმე, გაკონტროლდეს.**

თუმცა, ამჯერად ნარკოტიკებზე არ ვისაუბრებთ და „ქურდულ სამყაროსთან“ დაკავშრებული პირების სიმრავლეზე მოგახსენებთ. რა გახდა მიზეზი, რომ თითქმის ყოველ კვირას, ძალოვნები ათეულობით მოზარდს აკავებენ, რომლებიც „კანონიერ ქურდებთან“ არიან კავშირში? და, საერთოდ, რატომ არის, რომ გახშირდა ჩანაწერები, სადაც საზღვარგარეთ მყოფი „კანონიერი ქურდები“ ქართველ ბიზნესმენებს ფულს სთხოვენ, თანაც თუ დაახლოებით, ნახევარი წლის წინ, თანხა ათეულ ათასობით დოლარს ეხებოდა, ახლა 500 ლარზეც კი რეკავენ. ჰო, 500 ლარზე ანუ თანხაზე, რომელიც საზღვარგარეთ, პრაქტიკულად, არაფერია, მაგრამ „კანონიერი ქურდები“ თავს მაინც იწუხებენ.

როგორც ევროპაში მცხოვრები ერთ-ერთი „კაი ბიჭი“ გვეუბნება, მცირე თანხებით დაინტერესება თავიდან მასაც ძალიან გაუკვირდა, მაგრამ მერე ყველაფერს მიხვდა. საქმე ის გახლავთ, რომ 500 თუ 1000 ლარზე „კანონიერი ქურდებმა“, შესაძლოა, დღეში ათ ადამიანს დაურეკონ, რაც დღის ბოლოს სოლიდური თანხა გამოდის, თვის ბოლოს კი იმდენი, რომ ევროპაში უზრუნველად იცხოვრო. აღებული თუ ამოღებული თანხის უდიდესი ნაწილი (70%-ზე მეტი) საზღვარგარეთ იგზავნება „ობშჩიაკისთვის“, რეალურად კი მიღებულ თანხას „კანონიერი ქურდები“ საკუთარი სურვილისამებრ განკარგავენ და „საერთოს“ შევსებაზე სულ უფრო ნაკლებად ფიქრობენ.

ამას გარდა, ევროპაში კვლავ გააქტიურდა თემა, რომ „ფორთოხლები“ ანუ ის „კანონიერი ქურდები“, რომლებმაც თავის დროზე, სტატუსი დიდი ფულის გადახდის შემდეგ მიიღეს, სტატუსის გარეშე დატოვონ და საამისოდ ერთი დიდი „სხადნიაკიც“ გაიმართოს, მაგრამ ყველაფერ ამას, სერიოზული პრობლემა უშლის ხელს – თუ ამ ადამიანებს სტატუსის გარეშე დატოვებენ, პრეტენზია უნდა წაუყენონ მათაც, რომლებმაც ეს სტატუსი მისცეს. მათი ძირითადი ნაწილი გარდაცვლილია („იაპონჩკი“, „დედ ჰასანი“), მაგრამ ბევრი ცოცხალია და ისე გამოვა, რომ სტატუსის გარეშე დარჩენა მათაც ემუქრებათ. თავის მხრივ, „აპელსინების“ რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ისინი ძველი ყაიდის ქურდებს უტევენ და ემუქრებიან, ასეთი „სხადნიაკის“ მოწვევის შემთხვევაში, ომს დავიწყებთ და დავხოცავთ ყველას, ვინც ჩვენს ღირსებას ეჭვქვეშ დააყენებსო. ომი კი არავის სურს ორი მიზეზის გამო – არავის უნდა სიკვდილი და რაც მთავარია, ახლა აღარ არის ძველი დრო, „კალაშნიკოვით“ ვიღაცას რომ ჩაცხრილავდი და მერე ადგილიდან დაბურულშუშებიანი „ბე-ემ-ვე“-თი რომ მიიმალებოდი. ახლა ყველაფერი ბევრად რთულადაა და თითოეულ დანაშაულს ნებისმიერი ქვეყნის სამართალდამცავები საფუძვლიანად იძიებენ. თანაც, „კანონიერი ქურდები“ იმასაც ამბობენ, რომ როგორც იქნა მოახერხეს და ევროპის არცერთ დიდ ქვეყანაში, უკვე წელიწადზე მეტია, სერიოზული სპეცოპერაცია არ ჩატარებულა ქართველების წინააღმდეგ, არც ათეულობით ადამიანი დაუკავებიათ. ეს იმიტომ კი არა, რომ ევროპელ ძალოვნებს ჩაეძინათ, უბრალოდ, „კანონიერი ქურდები“ გახდნენ უფრო ფრთხილები და ცდილობენ, კრიმინალი იმ ქვეყანაში არ ჩაიდინონ, სადაც ცხოვრობენ. აი, საქართველოში კი...

„არ ვიცი, მანდ როგორ ჩანს, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც საქართველოში ძალიან დიდ ფულს შოულობენ. ახლა, რუსები რომ ჩამოვიდნენ, ქართველებს კრიპტობაზარზე ვაჭრობა ასწავლეს და ტიპები მთელი დღე კომპიუტერებთან სხედან და დღეში 200-300 დოლარს აკეთებენ. თანაც, ძირითადად, ახალგაზრდობა, ბიჭ-ბუჭობა, თავში რომ უქრით. ჰოდა, მათი „გაკერვა“ უფრო ადვილია, რომ ქურდულს სჭირდება და რაღაც თანხა „ობშჩიაკში“ უნდა გადაიხადონ. ერთი გადახდაა ძნელი, თორემ მერე უკვე ქურდი რეკავს, შენ რომ „ობშჩიაკში“ თანხას ჩამოხვედი, ახლა რომ უარს ამბობ, „საერთო“ ჩემი ჯიბიდან ხომ არ უნდა შევავსოო? საქართველოდან „კანონიერი ქურდების“ გაძევებამ, მინუსებთან ერთად, ერთი დიდი პლუსიც მოგვიტანა – ახლა, ახალ თაობას, „კანონიერი ქურდი“ სამთავიანი გველეშაპი ჰგონია, საშიში ადამიანი, გმირი საშინელებათა ფილმიდან და საკმარისია დაყენებული ბაზარი და რამდენიმე ჟარგონი, რომ ბევრს ეშინია. ჰოდა, იხდიან და იხდიან ერთი შეხედვით ცოტას, მაგრამ ეს ცოტა მერე ძალიან ბევრი ხდება“, – გვეუბნება ჩვენი წყარო.

სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევაში, ქართველი სამართალდამცავები უძლურები არიან. ქართულ შსს-ს პრაქტიკულად ყველა „კანონიერ ქურდზე“ საერთაშორისო ძებნა აქვს გამოცხადებული, მაგრამ უშედეგოდ, რადგან ამ სტატუსს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა სცნობს და დასჯადიც ოფიციალურად მხოლოდ სამ სახელმწიფოშია. შესაბამისად, გამოუცდელი ადვოკატიც კი მარტივად ახერხებს დაკავებული კრიმინალების გათავისუფლებას.

„კანონიერი ქურდების“ ტერორის მსხვერპლი არა მარტო საქართველოში მცხოვრები ადამიანები არიან, არამედ, ევროპაში ლუკმა-პურის საშვნელად წასულებიც. ბოლო დროს, საქართველოდან სამუშაოდ ჯგუფები მიდიან, მაგალითად, მშენებლობაზე, ან სათბურებში და ამ 10-კაციან ჯგუფებს ეუბნებიან, რომ თვეში, მაგალითად, 1000 ევრო უნდა გადაიხადონ ანუ თითოეულმა 100 ევრო, რაც იქაური საზომებით ბევრი არაა და ჯგუფის ხელმძღვანელიც იძულებულია, დათანხმდეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, „ქურდული გარჩევები“ მიდის. მათ უმრავლესობას კი სამთვიანი ვადა დარღვეული აქვს ანუ ევროპის ქვეყანაში არალეგალურად იმყოფება და პოლიციას რომ მიმართოს, სამშობლოში გამოადეპორტებენ და საერთოდ, ყველაფრის გარეშე დარჩება. ეს კარგად იციან იქ მყოფმა კრიმინალებმა და ამას სათავისოდ მარტივად იყენებენ. აქტიურად კი მუშაობენ ევროპაში მყოფი პოლიციის ქართველი ატაშეები, მაგრამ როცა საქმე არალეგალს ეხება, ისინიც უძლურნი არიან და ამიტომ, მათთან მიმართვიანობაც მინიმალურია.

სამაგიეროდ, სწორედ ქართველი ატაშეების მეშვეობით ხდება იმის დადგენა, რომელ ქვეყანაში, რომელი „კანონიერი ქურდი“ იმყოფება და მისი ტელეფონის მოსმენაც მარტივდება. შედეგად, სპეცოპერაციები უკვე საქართველოში ტარდება, მაგრამ დაკავებულების ადგილს სხვები იკავებენ და სამწუხაროდ, „ქურდული სამყაროს“ ხიბლი ჩვენში კვლავ არის, ვერ წაიშალა, ვერ აღმოიფხვრა. სამწუხაროდ, კვლავ არსებობენ ქალაქებისა თუ სოფლების „მაყურებლები“, რომლებიც ცდილობენ, ევროპული „ობშჩიაკი“ შეავსონ და ამით ქულები დაიწერონ. ამ „მაყურებლების“ შესახებ მომავალში ვრცლად აუცილებლად გიამბობთ და იმასაც მოგიყვებით, „კანონიერი ქურდების“ „ჩატში“ რა საქმეები ირჩევა, რაზე აკეთებენ აქცენტს აქაური „კაი ბიჭები“, რას სთხოვენ „კანონიერ ქურდებს“ და რისთვის ითხოვენ დიდი „სხადნიაკის“ მოწვევას.

# მილიციის საიდუმლო საწყობიდან 2 კილოგრამი „ჰეროინი“ მოიპარეს

## გრიფით „საიდუმლო“ საქმე, რომელმაც საბჭოთა ძალოვანები სიგიჟის ზღვრამდე მიიყვანა

ბათო ჯაფარიძე

**ძველ თაობას კარგად ემახსოვრება, როგორ ყიდდნენ ბოშები „დონალდოსა“ და „პედროსთან“ ერთად „მამალოს“. გამდნარი შაქრის კანფეტს, რომელიც ჯოხზე იყო წამოცმული, სხვადასხვა ფორმა ჰქონდა და სხვადასხვა ფერი იყო. გამდნარ შაქარს ესენცია ჰქონდა გარეული და ბავშვებს „მამალოს“ დაგემოვნება ძალიან უყვარდათ, თუმცა არცთუ იშვიათად, კანფეტის ფორმებს მშობლები მაღაზიაში ყიდულობდნენ და ნუგბარს შინაურ პირობებშიც ამზადებდნენ. ტაფაზე შაქრის გადნობას დიდი პროფესიონალიზმი და ქიმიის ცოდნა არ სჭირდება. სამაგიეროდ, იმას სჭირდება ცოდნა, რომ მაღალ ტემპერატურაზე შაქარი დნება, მარილი კი – არა.**

როგორც ახლა, ადრეც, ამოღებულ ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ექსპერტებისა და სპეციალური საგამოძიებოს სამსახურის თანამშრომლების თანდასწრებით ანადგურებენ. ადრე მინდორში ანთებდნენ ცეცხლს და წვავდნენ, შემდეგ სპეციალური ღუმელები შემოიღეს და ახლაც ასეა – ნარკოტიკული ნივთიერებები ღმელში ნადგურდება, თუმცა მაგალთად, მარიხუანას გამო, ღუმელს არავინ რთავს და მას, უბრალოდ, მინდორში წვავენ. ყველა ნიმუშს ექსპერტიზა უტარდება და მკაცრად კონტროლდება, რამდენი გრამი და რა სახის ნარკოტიკი დაიწვა, მანამდე კი, გასანადგურებლად გამზადებული ნარკოტიკული ნივთიერებები სპეციალურ საცავებში ინახება.

ავღანეთიდან შემოტანილი ნარკოტიკი, რომელიც საქართველოს გავლით რუსეთში უნდა მოხვედრილიყო, ქართველმა სამართალდამცავებმა ამოიღეს. რაოდენობა ლამის 5 კილოგრამამდე გახლდათ და ეს ოპერაცია იმდენად წარმატებულად ჩაითვალა, რომ ქართველ ძალოვნებს მადლობის სიგელები მოსკოვიდან გამოუგზავნეს. „ჰეროინი“ სპეციალურ საცავში შეინახეს და როცა მისი განადგურების დრო მოვიდა, აღმოაჩინეს, რომ სწორედ იმ ავღანურ „ჰეროინს“ 2 კილოგრამი აკლდა.

„ეს არ იყო „ჩეპე“, ეს იყო კატასტროფა. ადგილზე მინისტრი, მისი მოადგილეები და განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლები მივედით. მაშინვე გაირკვა, რომ საცავში შესვლის უფლება რეალურად ოთხ ადამიანს ჰქონდა ანუ ამ ოთხეულიდან აიღებდა რომელიმე, მაგრამ დეტალური გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ოთხი ადამიანი ქაღალდზე ეწერა, სინამდვილეში, გასაღები კედელზე იყო ჩამოკიდებული და იქ შედიოდა ყველა, ვისაც ძველი მასალების ნახვა უნდოდა, ან უბრალოდ, რამე საქმე ჰქონდა. მეტიც, იქ ნარკოტიკების გარდა, ინახებოდა სხვადასხვა დროს ამოღებული ნაქურდალი ნივთები, ტელევიზორები, ძვირფასეულობა და სანამ მათ მფლობელებს ვიპოვიდით, ამ ტელევიზორს ადგილობრივი ძალოვნები ხმარობდნენ, შეჰქონდათ, გაჰქონდათ და საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ წ ესით, უმკაცრესად დაცულ ოთახში, 40-მდე ადამიანი თავისუფლად შედიოდა და გადიოდა. აი, ვინ მოიპარა „ჰეროინი“, უმოკლეს ვადებში ნამდვილად ვერ გავარკვევდით, თუმცა მთელი უბედურება ის იყო, რომ მეორე დღეს, ეს ნარკოტიკი უნდა გამნადგურებულიყო და თუ ექსპერტებს შესაბამის წონას არ წარვუდგენდით, ძალიან სერიოზული ამბავი ატყდებოდა, უშიშროების გარდა, საქმეში რუსეთიც ჩაერეოდა და შეიძლება, მინისტრიც კი დაეჭირათ“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

პრაქტიკულად, 24 საათში, 2 კილოგრამი „ჰეროინის“ შოვნა წარმოუდგენელი იყო. მთელი თბილისის ბარიგებისთვის რომ ჩამოევლოთ, ამ ოდენობას ვერავინ ააგროვებდა, თანაც დაკარგული „ჰეროინი“ ე.წ. „999 სინჯის“ ანუ საუკეთესო იყო. გონება მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს გაეხსნა – „ამ „ჰეროინს“ ექსპერტიზა ჩატარებული აქვს, განადგურების წინ, ახალ ექსპერტიზას არავინ ჩაატარებს. ვიყიდოთ წვრილი მარილი, ჩავდოთ შესაბამის ცელოფანში და ღუმელში შევაგდოთ, მერე კი დრო გვექნება შიდა მოკვლევის ჩასატარებლად და ქურდის დასაკავებლად“.

იდეა ყველას მოეწონა, მაგრამ არავის გაახსენდა, რომ მარილის ნაცვლად, შაქრის ყიდვა სჯობდა.

მეორე დღეს, ყველაფერი წესისამებრ მოხდა – ღუმელში სხვადასხვა ნარკოტიკთან ერთად, ორი კილოგრამი მარილიც შეტენეს და ნახევარი საათის შემდეგ, როცა ღუმელი გამოაღეს, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ყველაფერი განადგურდა, ორი კილო მარილი ღუმელის შუაგულში ამაყად იდო.

„საქმეს გრიფით „საიდუმლო“ დაედო, ადგილზე უშიშროების თანამშრომლები გაჩდნენ და რაღა თქმა უნდა, ნახევარ საათში, ყველაფერი მოსკოვში იცოდნენ. იქიდან სპეციალური ჯგუფი ჩამოვიდა, მადლობის სიგელები თავზე გადაგვახიეს, შემდეგ კი ყველა უმკაცრესად გააფრთხილეს, რომ ინფორმაციას არ გაეჟონა. მთავარი იყო, ერთი „ბარიგა“ მაინც დაგვეკავებინა, რომელსაც ზუსტად იმ სინჯის „ჰეროინი“ ექნებოდა, მერე გამსაღებელზე გასვლა ადვილი იქნებოდა. ამიტომ, ფრთხილად დავიწყეთ მოქმედება“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ორი თვის განმავლობაში, დაკარგული ნარკოტიკი ბაზარზე არ გამოჩენილა. სუფთა „ჰეროინს“ არავინ ყიდდა, ათასგვარ მინარევებში იყო გაზავებული. ძალოვნებმა იცოდნენ, რომ „ჰეროინის“ ქურდი სამართალდამცავი იყო ანუ მან ზუსტად იცოდა, რას ეძებდა მილიცია და ამიტომ დიდი გახლდათ ალბათობა, „ჰეროინი“ თავად გაეზავებინა და ისე გაეშვა ქსელში, თუმცა ამ შემთხვევაში, 2 კილო 6 კილოდ გადაიქცეოდა, 6 კილოს გასაღება კი მარტივი საქმე არ გახლდათ, თუმცა ორი თვის თავზე, ერთ-ერთმა აგენტმა გამომძიებლებს მაგიდაზე 5 გრამი „ჰეროინი“ დაუდო და უთხრა, მგონი, ის არის, რასაც ეძებთო. ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ეს სწორედ დაკარგული პარტია იყო – „999“. აგენტმა იმ „ბარიგის“ სახელი თქვა, ვისგანაც ნარკოტიკი იყიდა და ერთ საათში, ასე, 50 წელს მიტანებული კაცი უშიშროების კომიტეტის დასაკითხ ოთახში იჯდა და ჩვენებას იძლეოდა.

„მართალია, ეს „ჰეროინი“ მე გავყიდე, მაგრამ ვისგან ვიყიდე, არ ვიცი. ორი კვირის წინ, წერილი მივიღე, ვიღაც მეუბნებოდა, რომ სუფთა „ჰეროინი“ ჰქონდა და თუ ნახევარ კილოს ავიღებდი, იაფად მომცემდა. სინჯისთვის წერილში ერთ გრამამდე „ჰეროინი“ იყო. შევამოწმე და მივხვდი, რომ სუფთა წამალი იყო. შემდეგ მეორე წერილი დამხვდა, ფასი მითხრა და ის ადგილიც მიმანიშნა, სადაც ფული უნდა დამეტოვებინა, წამალს კი მეორე დღეს მივიღებდი. ასეთი შანსი ცხოვრებაში ერთხელ გეძლევა ადამიანს, გავყიდე ყველაფერი, რისი გაყიდვაც შემეძლო, ფული ვისესხე ყველასგან, ვისთანაც მიმესვლებოდა და გავრისკე. წამალი მივიღე, ფული სამალავში დავტოვე და იმაზე სამჯერ მეტი უნდა ამეღო, ვიდრე გადავიხადე“, – თქვა დაკავებულმა.

წამების (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) მიუხედავად, „ბარიგამ“ მეტი ვერაფერი თქვა. ძალოვნებს ეს ძაფიც გაუწყდათ. ნახევარი კილო „ჰეროინი“ კი დაიბრუნეს, მაგრამ კიდევ სამი იმდენი კვლავ ვიღაცის ხელში იყო და რაც მთავარია, ის ვიღაც სამართალდამცავი გახლდათ და ყველაზე მეტად სწორედ ეს აგიჟებდა როგორც უშიშროებას, ისე შსს-ს. ანალოგიური რამ ერთ კვირაში განმეორდა, ოღონდ ამჯერად, „ბარიგა“ თავად მივიდა განყოფილებაში და განაცხადა, რომ ვიღაც 500 გრამი ჰეროინის ყიდვას სთავაზობდა. ჩასაფრება მოაწყვეს, მაგრამ გამსაღებელი არ გამოჩნდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მან ზუსტად იცოდა ყველაფერი ანუ საგამოძიებო ჯგუფის წევრი იყო. ჯგუფი გაფილტრეს და მხოლოდ 4 ადამიანი დატოვეს, რაც ინფორმაციის გასაიდუმლოებას ხელს შეუწყობდა. ერთი თვე ისე გავიდა, არაფერი მომხდარა. ერთი თვის შემდეგ კი, მორიგი აგენტი გამოცხადდა „ჰეროინით“ და იმ ნარკოდილერის ვინაობა დაასახელა, ვისგანაც ნარკოტიკი შეიძინა. ისიც დააკავეს, მაგრამ ახალი მანაც ვერაფერი თქვა – სქემა უცვლელი იყო, ვიღაც წერილს ტოვებდა, შემდეგ კი სამალავიდან ფულს იღებდა და ნარკოტიკს ასევე სამალავში უტოვებდა. ძალოვნებმა იცოდნენ, რომ რაღაც ეპარებოდათ, რაღაცას ისე ვერ აკეთებდნენ, როგორც საჭირო იყო და დახმარება კვლავ მოსკოვს სთხოვეს. საბჭოთა კავშირის დედაქალაქიდან ის კაცი გამოუშვეს, ვისზეც ლეგენდები დადიოდა, გაუხსნელი საქმე არ აქვსო და მას ყველა იმედით ელოდა.

„ჩამოვიდა ეს კაცი, საქმე მოითხოვა, ორი დღე სწავლობდა ყველაფერს, მერე კი მშვიდად გვითხრა, იდიოტები ხართ, ნუთუ, ვერ ხვდებით, რომ ყველა „ბარიგა“ ერთი და იმავე უბნიდან არის ანუ ვიღაცამ ზუსტად იცის, ამ უბანში წამალს ვინც ყიდის და ის ვიღაც, უდიდესი ალბათობით, უბნის რწმუნებულიაო. ორ საათში, უბნის რწმუნებულის სახლი და ავტოფარეხი იჩხრიკებოდა და სწორედ ავტოფარეხში იპოვეს დაკარგული ნარკოტიკი“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

„საცავში შემთხვევით შევედი, გამომძიებელს ვახლდი და მაშინ დავინახე დაფასუებული „ჰეროინი“ წარწერით – „999“. მივხვდი, რაც იყო და ისიც გამახსენდა, რომ ჩემს უბანში წამალს არაერთი ადამიანი ყიდდა. ამიტომ, ორი კილო მოვიპარე და გამომძიებელი ვერაფერს მიხვდა. მერე ვაპირებდი, მოპარული „ჰეროინის“ ნაცვლად, შაქრის პუდრა დამედო, მაგრამ საცავში შესვლა ვეღარ მოვახერხე“, – თქვა დაკავებულმა.

სასამართლომ დაკავებულს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბათო ჯაფარიძე

**ადრეც იყო, ახლაც არის და მომავალშიც იქნება საქმე, რომელიც უიმედოა ანუ არ იხსნება, გამომძიებლებს მძიმე ტვირთად აწევთ და შესაბამისად, ისინი ცდილობენ, ასეთი საქმეები ვინმეს აჰკიდონ. პროცესი მარტივია – მაგალითად, დააკავეს ბინის ქურდი, რომელსაც 3-4 ეპიზოდი დაუმტკიცდა. მას, საუკეთესო შემთხვევაში, 7-წლიანი სასჯელი ელოდება. ამ დროს, გამომძიებელი ეუბნება, თუ კიდევ ერთ ეპიზოდს დაიმატებს, პროკურორი 6 წელს მოითხოვს და ისიც თანხმდება, თანაც სიხარულით. რაც მთავარია, პროკურატურა საგამოძიებო უწყებასთან კომპრომისზე მიდის, გახსნის მაჩვენებლის გამო, თვალს ხუჭავს და დამნაშავეს ერთ წელს პატიობს. არის ისეთი შემთხვევაც – ყოველგვარი შეთავაზების გარეშე – ვილაცას ეუბნებიან, რომ კონკრეტული დანაშაულის ხელწერა მისას ჰგავს და ამიტომ, მისი ჩადენილია.**

# რა სკანდალში გაეხვა მთავარი პროკურორის მოადგილის მოსამართლის ცოლი

## გაუხსნელი ქურდობა და დამნაშავის უცნაური აღიარება

ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, ანალოგი აქვს, მაგრამ იმდენად იშვიათად, რომ გამომძიებლებს ყველა ასეთი საქმე ზეპირად ახსოვთ და ერთგვარი შიშითაც კი ჰყვებიან, თუ როგორ გადარჩნენ ციხეს თავად.

„გლდანში, ახლადაშენებულ კორპუსებში, მოსახლეობა ნელ-ნელა სახლდებოდა, არემონტებდნენ, ავეჯი შეჰქონდათ და ამიტომ ქურდობის ფაქტები ძალიან ხშირი იყო. ვის შეჰქონდა ნივთები და ვის გაჰქონდა, ვერ გაარკვევდი, თანაც ახალი კორპუსის ბინადრები ერთმანეთს არ იცნობდნენ და შესაბამისად, ვერ ხვდებოდნენ, ვინ რას აკეთებდა. ჰოდა, შეტყობინება შეტყობინებაზე შემოდიოდა და ერთგვარი მორიგეობაც კი დავაწესეთ, გამოტანილ ნივთებზე საბუთებს ვამოწმებდით. მოკლედ, ყველაფერი კარგად აეწყო, არაერთი ქურდი დავაკავეთ, მაგრამ ერთ-ერთი ბინიდან დაკარგული მაცივარი და სარეცხის მანქანა ვერაფრით ვიპოვეთ“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

წლის ბოლო ახლოვდებოდა და გაუხსნელი საქმეების მთელი წყება იყო, ამიტომ გამომძიებლები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ როგორმე ეს ტვირთი შეემსუბუქებინათ. ამიტომ, როცა ერთ-ერთი ბინის ქურდი დააკავეს, რომელსაც 11 ეპიზოდი დაუმტკიცეს, ზედ 4 გაუხსნელი საქმეც აჰკიდეს და იმასაც არ გაუპროტესტებია – იცოდა, 7-წლიან სასჯელს ვერ გაექცეოდა, ზონაზე კიდევ იმას იტყოდა, ბევრი ეპიზოდი მქონდა, მაგარი ვარო. ამ ამბიდან ორი წელი გავიდა, ყველა ბედნიერი იყო, მაგრამ...

„ერთ დღეს მილიციის განყოფილებაში 40 წლამდე მამაკაცი მოვიდა და გამომძიებელი იკითხა. ჩემთან გამოუშვეს. რაღაცნაირი, ცარიელი თვალებით შემომხედა, პასტა და ფურცელი მოითხოვა, დაჯდა და წერა დაიწყო. ასე, ნახევარი საათი წერდა, მერე ნაწერი გამომიწოდა და მაჯები გამომიშვირა, ბორკილი დამადეო. მის ნაჯღაბნს გულგრილად დავხედე და გავშრი – ზუსტად მახსოვდა მისამართი, სადაც ორი წლის წინ მომხდარი ქურდობა ვერ გავხსენით, სარეცხის მანქანა და მაცივარი იყო დაკარგული. ეს კაცი კიდევ წერდა, ამ მისამართზე ბინა მე გავქურდე, სარეცხის მანქანა და მაცივარი წავიღეო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

იცით, ეს რას ნიშნავს? დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩაუდენია, ადამიანი სასჯელს იხდის. მართალია, მას სხვა დანაშაულებიც ჰქონდა, მაგრამ ეს არც გამოძიებას ამართლებდა, არც – პროკურატურას, რომელიც ძიების პროცესს რიგიანად არ მიჰყვა და არც – მოსამართლეს, რომელიც თითოეულ ეპიზოდზე არ ჩაეკითხა დაკავებულს. ამიტომ, ძალიან დიდი იყო შანსი, რომ გულწრფელი აღიარების გამო, ციხეში ძალოვანი უწყებების არაერთი თანამშრომელი წასულიყო. ამიტომ, გამომძიებელმა მილიციაში თავის ფეხით მისულ დამნაშავეს დაუყვავა.

„მესმის თქვენი მდგომარეობა, სინდისმა შეგაწუხათ, მაგრამ ამ საქმეს ხანდაზმულობის ვადა გაუვიდა (არადა, რა ხანდაზმულობის ვადა, საქმე ოფიციალურად გახსნილი და არქივში გადაგზავნილი იყო), შინ წადით, ცოლ-შვილთან“, – გაუღიმა გამომძიებელმა.

„რა ცოლ-შვილთან? დავიწყოთ იმით, რომ შვილი არ მყავს, ცოლი კიდევ, ნამდვილი გიურზაა. მის გვერდით ყოფნას ციხეში ყოფნა მირჩევნია. გარეთ არაფერი მაკავებს, საერთოდ არაფერი. ციხეში ცოტას მოვწყდები ამ სამყაროს, თან სმას მივეჩვიე, იქ გადავეჩვევი. ის ბინაც, იცით, რატომ გავქურდე? სახლის მეპატრონეს რემონტი გავუკეთე, ფული არ გადამიხადა, მაწვალებდა, მერე მითხრა, საერთოდ არ გადაგიხდი, სადაც გინდა, მიჩივლეო. კარი ცუდად იკეტებოდა, ვიცოდი, როგორ უნდა გამეღო. ორი კვირა ვაცადე და წავიღე ზუსტად იმდენი, რამდენიც მეკუთვნოდა. იმან კი იჩივლა, მაგრამ ჩემი დასახელება ვერ გაბედა ეჭვმიტანილებში, იფიქრა, თუ იმას მიადგებიან და ქურდი არ აღმოჩნდება, ხმაურს ატეხს, ვალი აქვსო. მოკლედ, ასე იყო ეს ამბავი და დამაკავეთ, უფროსო“, – იხვეწებოდა გამყოფილებაში მისული კაცი.

გამომძიებელმა კეფა მოიქექა, აღიარებითი ჩვენება უჯრაში შეინახა, კაცი წინასწარი დაკავების იზოლატორში გაისტუმრა, თავად კი აღნიშნული საქმის პროკურორს დაურეკა და შეხვედრა სთხოვა. პროკურორმა როგორც კი გაიგო, რაც მოხდა, მაშინვე ფერი ეცვალა, მაგრამ აზრზე მალე მოვიდა და გამომძიებელს ჰკითხა – „რაიმე გაუხნელი ქურდობის საქმე არ გაქვს? ის შეტენე, იმისთვის რა აზრი აქვს, ციხეში რომელი ბინის ქურდობით წავა?“ ეს აზრი გამომძიებელსაც მოეწონა და მაშინვე განყოფილებაში დაბრუნდა.

„ჩემთვის სულ ერთია, უფროსო, რომელი საქმეც გინდა, ის მომაწერე, ოღონდ გარეთ აღარ გამიშვა, გარეთ არ მინდა და კიდევ, ცოლი არ მოვიდეს სასამართლოზე, მაგის დანახვის ნერვები არ მაქვს“,-განაცხადა დაკავებულმა.

საქმე გადასარევად დალაგდა, ერთ-ერთი ბინის ქურდობა დაკავებულს მარტივად შეტენეს, სასამართლოც მალე გაიმართა და ზონაზეც გაისტუმრეს 2 წლით, როგორც დანაშაულის პირველად ჩამდენი და რაც მთავარია, აღიარებითი ჩვენებით, საკუთარი ნებით მისული, თანაც პროკურორიც და გამომძიებელიც შეეცადნენ, რომ მას მინიმალური სასჯელი მიეღო. თითქოს ყველა ბედნიერი იყო, მაგრამ...

„ის საწყალი კაცი, ზონაზე რომ წავიდა, ამ ამბავს პატიმრებთან მოყვა. გაფრთხილების მიუხედავად, მაინც მოყვა და ყველაფერი ჯერ ადმინისტრაციის ყურამდე მივიდა, შემდეგ კი ჩვენს, შიდა საგამოძიებო სამსახურთან. საქმე ოფიციალურად უნდა აღძრულიყო, მაგრამ“... – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მაგრამ, მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. საქმის მოსამართლე იმ დროისთვის უკვე საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის ცოლი იყო და თუ ყველაფერს მსვლელობა მიეცემოდა, მასაც გვარიანად მოხვდებოდა. ამიტომ, ყველა შეთანხმდა, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუ აღნიშნულ საქმეს უბრალოდ დაივიწყებდნენ და ისე გააფორმებდნენ, თითქოს პატიმარმა უბრალოდ მოიტყუა და ინფორმაციაც არასწორი იყო.

აღნიშნული პრაქტიკა უცხო დღესაც არ არის, მაგრამ ახლა პრაქტიკულად გამორიცხულია, ვინმე აღიარებითი ჩვენებით მივიდეს და სამართალდამცავებს უთხრას, დამიჭირეთ, ერთი ან ორი წლის წინ, კრიმინალი ჩავიდინეო. თუმცა, გაუხსნელი საქმეების სხვებზე ჩამოკიდება კვლავ ჩვეულებრივი პრაქტიკაა და ეს ერთადერთ რამეს ემსახურება – სტატისტიკის გაუმჯობესებას. რეალურად, მსოფლიოში ჩადენილ დანაშაულთა მხოლოდ მცირე ნაწილი იხსნება და სტატისტიკა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითა და გაუხსნელი დანაშაულების სხვებზე მიწერით უმჯობესდება. მაგალითისთვის, დაახლოებით, ორი წლის წინ, რუსეთში, ყაჩაღობის დროს, ერთ-ერთი კრიმინალური დაჯგუფების ორი წევრი მოკლეს და გარდაცვლილებს საერთო ჯამში 144 ყაჩაობის ფაქტი შეტენეს. ამ მაჩვენებლით მაშინ რუსეთი ძალადობრივი დანაშაულების გახსნის მიმართულებით, პირველ ადგილზე გავიდა და ძალიან დიდი ალბათობით, მოკლულებს იმ 144 ყაჩაღობიდან, შეიძლება 4-იც არ ჰქონდათ ჩადენილი.

## შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, საბრძოლო მასალა ამოიღეს და ექვსი პირი დააკავეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების მთავარი სამმართველოს და საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1958 წელს დაბადებული ნ.ა. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ ნ.ა.-ს სახლში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 2 მჭიდი და 27 ვაზნა.

ამავე სამმართველოების თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს 1985 წელს დაბადებული ი.ლ.-ც. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს პისტოლეტი, მჭიდი და ვაზნები.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1982 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის, მათ შორის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ნ.შ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 16 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1984 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ც.მ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ თბილისში, ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 6 ვაზნა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1991 წელს დაბადებული ნ.ქ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ნ.ქ.-ის მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს კალაშნიკოვის კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე, 70 ვაზნა.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, 1962 წელს დაბადებული თ.ტ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისთვის დააკავეს. პოლიციამ, თ.ტ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი და 2 ვაზნა.

დანაშაულები 3-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს.

## პოლიციამ თბილისში, ჯავის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში ბრალდებული დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, ჯავის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში ბრალდებული, 1964 წელს დაბადებულ ვ.ქ. დააკავა.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევმა ბრალდებულმა, წარსულში მომხდარი პირადი კონფლიქტის გამო, მიმდინარე წლის 23 დეკემბერს, თბილისში, ჯავის ქუჩაზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა 1976 წელს დაბადებული ბ.ო. და მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირი მომხდარიდან მეორე დღეს დააკავა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

## პოლიციამ თბილისში ორი ადამიანის განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებებისა შედეგად, უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1987 წელს დაბადებული ჰ.მ., დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ორი პირის განზრახ მკვლელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 19 დეკემბერს, თბილისში, ფინანსური დავის ნიადაგზე, ცივი იარაღისა და ბლაგვი საგნის გამოყენებით, სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა ცოლ-ქმარს: 1986 წელს დაბადებულ დ.ბ.-ს და 1981 წელს დაბადებულ უცხო ქვეყნის მოქალაქე ჩ.კ.-ს.

ჰ.მ.-მ, კვალის დაფარვის მიზნით, გარდაცვლილთა ცხედრები შემთხვევის ადგილთან ახლოს დამარხა და მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა მალევე დაადგინეს და თბილისში დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ორი პირის განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

## პოლიციამ თბილისში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – ერთ პირს დაუსწრებლად ბრალდება წარედგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, ჯავის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნეს.

1964 წელს დაბადებულ ვ.ქ.-ს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, განზრახ მკვლელობის ფაქტზე.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევმა ბრალდებულმა, წარსულში მომხდარი პირადი კონფლიქტის გამო, მიმდინარე წლის 23 დეკემბერს, თბილისში, ჯავის ქუჩაზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა 1976 წელს დაბადებული ბ.ო. და მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა მომხდარიდან რამდენიმე წუთში დაადგინა და მის დასაკავებლად შესაბამის ღონისძიებებს ატარებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

## პოლიციამ დიდ დიღომში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული დ.ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 22 დეკემბერს, თბილისში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა ნაცნობს – 1991 წელს დაბადებულ გ.წ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მიყენებული დაზიანებების შედეგად, გ.წ. ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში ბრალდებული დ.ა. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა.

დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებადაა ამოღებული. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# კვარაცხელიას აღიარება – მესისა და ნეიმარის გვერდით

მსოფლიო ჩემპიონატის გამო, საკლუბო ჩემპიონატებში პირველი წრის ჩამთავრებაც ძლივს მოხერხდა და ზოგან ესეც ვერ მოასწრეს. ამის მიუხედავად, ევროპულმა გამოცემებმა საფეხბურთო ჩემპიონატების პირველი წრის სიმბოლური ნაკრები დაასახელეს და ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ სიაში „ნაპოლის“ შემტევი, ხვიჩა კვარაცხელიაც გახლავთ. მოდით, ჯერ მთლიანად პირველი წრის სიმბოლურს გადავხედოთ, შემდეგ კი ხვიჩაზე ცალკე ვთქვათ.

მეკარე: ბორის სამბა („ლანსი“, საფრანგეთი);

მცველები: კირან ტრიპიერი („ნიუკასლი“, ინგლისი), კიმ ინ ჟე („ნაპოლი“, იტალია), ვილიამ სალიბა („არსენალი“, ინგლისი), ჟოაუ კანსელუ („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი);

ნახევარმცველები: ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“, იტალია), კევინ დე ბრუინი („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი), ჯამალ მუსიალა („ბაიერნი“, გერმანია);

თავდამსხმელები: ლიონელ მესი, ნეიმარი (ორივე პსჟ, საფრანგეთი), ერლინგ ჰაალანდი („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი).

**„კვარაცხელია „ნაპოლიმ“ ბათმის „დინამოდან“ სულ რაღაც 10 მილიონ ევროდ შეიძინა. ის ახალი თაობის არაორდინალური და არაპროგნოზირებადი გარემარბია, რომელზეც მცველებს წარმოდგენა არ აქვთ, როგორ შეაჩერონ. ყველას ეგონა, რომ ამას „ლივერპულელი“ ალექსანდრ-არნოლდი მოახერხებდა, მაგრამ ქართველი ჯადოქარი მას უმოწყალოდ გაუსწორდა“,** – წერენ ხვიჩაზე ევროპული სააგენტოები.

# ვინ არის ქალი, ვისაც მესი ჩაეხუტა

ვინც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს უყურა, ყველას ემახსოვრება კადრი, როცა ლიონელ მესი მოედანზე დადის, მასთან ვიღაც ქალბატონი მიდის და ლეო მას ბავშვივით გულში იხუტებს. მაშინ წამყვანებმა თქვეს, რომ ეს ლეოს დედაა, შემდეგ, სოციალურ ქსელში ამბავი ატყდა, დედა კი არა, და არის, ასეთი ახალგაზრდა დედა არ ჰყავსო, მერე ვიღაცამ ისიც თქვა, რიგითი გულშემატკივარი იყო, მოედანზე შევარდა და მესი უბრალოდ ყველას ეხუტებოდაო. ახლა კი გაირკვა, რომ ეს არც დედაა, არც და და არც მოედანზე შემთხვევით მოხვედრილი ადამიანი.

როგორც არგენტინული მედია წერს, ეს ქალბატონი ანტონია ფარიასია და ის არგენტინის ნაკრების მზარეულია. 10 წელია, ქალბატონი ანტონია არგენტინის ნაკრების ფეხბურთელებისთვის საკვებს ამზადებს, მათ ყველა ქვეყანაში დაჰყვება და მისი მითითების გარეშე, ნაკრების ფეხბურთელები ლუკმასაც კი არ ჭამენ. ის უფრთხილდება თითოეულ მოთამაშეს, უდგენს განსაკუთრებულ მენიუს, უმზადებს უგემრიელეს საკვებს და მას ნაკრების წევრები, ასეთი მზრუნველობის გამო, მოფერებით დედას ეძახიან. ამასთან ერთად, ქალბატონი ანტონია არგენტინის ნაკრების ერთგვარ თილისმადაც ითვლება და სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც ლეოს მისი დანახვა ასე გაუხარდა.

გულშემატკივარს ისიც აინტერესებს, რა მოახურეს ლეოს არაბებმა თასის გადაცემის წინ. ამ სამოსს, რომელიც აქლემის ბეწვისგან მზადდება, „ბიშტი“ ჰქვია. მისი ჩაცმის უფლება ყველას არ აქვს, რადგან ის ვაჟკაცობისა და სიბრძნის სიმბოლოა. ჰოდა, ლეოს აღნიშნული „ბიშტის“ გაყიდვა ომანელმა პარლამენტარმა, ვინმე აჰმედ ალ ბარვანიმ შესთავაზა და სამოსის სანაცვლოდ, საჯაროდ მილიონი დოლარიც შესთავაზა. ვერ გეტყვით, რას გადაწყვეტს მესი, მაგრამ ისე ჩანს, მილიონები არც ომანელ პარლამენტარებს უჭირთ.

# პერესი გაგიჟდა – მილიარდზე მეტი, მბაპეს სანაცვლოდ

თითქოს, ყველა მიეჩვია იმას, რომ როცა ფლორენტინო პერესი რომელიმე ფეხბურთელს თვალს დაადგამს, ადრე თუ გვიან, მას მადრიდის გზას გაუყენებს და „რეალის“ მაისურს მოარგებს. გასულ ზაფხულს, პერესს კილიან მბაპეს შეძენა სურდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, გარიგება არ შედგა. პერესს ისიც ურჩიეს, კილიანი 23 წლისაა, 1-2 წელი კიდევ დავაკვირდეთ, ეგებ, სულაც არ გამოდგეს ისეთი ფეხბურთელი, როგორ მომავალსაც უწინასწარმეტყველებენო. ჰოდა, ფრანგმა დაამტკიცა, რომ ძალიან, ძალიან მაგარია. საფრანგეთის ჩემპიონატის საწყის 20 ტურში 19 გოლი გაიტანა, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე 8 გოლით ბომბარდირი გახდა. სწორედ ამიტომ, პერესმა საბოლოოდ გადაწყვიტა მბაპეს ყიდვა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რა თანხას უხდიან „პსჟ“-ს არაბი შეიხები კილიანს, პერესს მისი ყიდვა გაუჭირდება, თუმცა...

**„ფლორენტინო მზად არის, ზაფხულში ფრანგულ კლუბს 486 მილიონი ევრო გადაუხადოს, ხოლო უშუალოდ მბაპეს, 5-წლიანი ხელშეკრულების სანაცვლოდ, 630 მილიონი ევრო მისცეს. მთლიანობაში, ეს მილიარდ ევროზე მეტია და ამხელა სახსრები არც ერთ ფეხბურთელში არ ჩადებულა, მაგრამ მბაპეს ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, პერესს ამის გაკეთება უღირს“,** – წერს ესპანური მედია.

ჩვენდა სამწუხაროდ კი, ვაღიაროთ, რომ 486 მილიონი ევრო ანუ რასაც პერესი მბაპეში იხდის, ყველა ქართული კლუბის ბიუჯეტი რომ შეკრიბო, არ გამოვა. პრინციპში, ამის ნახევარიც არ გამოვა.

# ბრაზილიის ნაკრები, შესაძლოა, ზიდანმა ჩაიბაროს

მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ბრაზილიის ნაკრები მიიჩნეოდა, მაგრამ პენტაკამპეონებმა ¼-ფინალში წააგეს და მუნდიალი ნაადრევად დატოვეს. როგორც კი ბრაზილია გავარდა, მისმა მწვრთნელმა ტიტემ გადადგომაზე განცხადება გასახდელშივე დაწერა და თქვა, რომ მწვრთნელად დარჩენის მორალური უფლება არ ჰქონდა, რადგან ათეულ მილიონობით ადამიანს იმედები გაუცრუა. ჰოდა, ახლა ბრაზილიაში იმაზე მსჯელობენ, ვის ანდონ ქვეყნის უმთავრესი გუნდი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონობა 2002 წლის შემდეგ არ მოუგია და ამის შანსი 2026 წლამდე აღარც ექნება.

გაგიკვირდებათ და, გადაწყდა, რომ ნაკრები აუცილებლად უცხოელმა სპეციალისტმა უნდა ჩაიბაროს, რადგან გათამამებული ბრაზილიელი ვარსკვლავები, რომლებიც დისციპლინას მუდმივად არღვევენ, სათანადოდ მოთოკოს. მთავარ კანდიდატად ზინედინ ზიდანი სახელდება, რომელიც ახლა უმუშევარია და ამბობდნენ, რომ საფრანგეთის ნაკრები უნდა გაეწვრთნა, მაგრამ დიდიე დეშამმა ფრანგებს წინა მსოფლიო მოაგებინა, ახლა ფინალში გაიყვანა და პენალტების სერიაში დამარცხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მოხსნა უდიდესი უმადურობა იქნება. ზიდანის გარდა, ბრაზილიელები კარლო ანჩელოტის კანდიდატურასაც განიხილავდნენ, მაგრამ „რეალის“ თავკაცს კლუბის დატოვება არ სურს. საუბარია ტომას ტუხელზეც, რომელიც „ჩელსიდან“ წავიდა, თუმცა მთავარი აქცენტი მაინც ზიდანზე კეთდება, აქაოდა, მსსოფლიოს ჩემპიონია და გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვსო.

# კიდევ ერთი ღამე ერთად...

ფოტომ, რომელიც შობის ღამეს კელი ნასიმენტომ გამოაქვეყნა, მსოფლიო მოიარა და ბევრი ადამიანი დაასევდიანა. კელი ნასიმენტო მამას, ედსონ არანტეს დო ნასიმენტოს ანუ უბრალოდ პელეს ეხუტება. ფეხბურთის მეფედ აღიარებული ბრაზილიელი კიბოს ებრძვის, რასაც გულისა და თირკმელების პრობლემაც დაემატა. ექიმები ამბობენ, რომ ქიმიოთერაპია ისეთ ეფექტს ვეღარ იძლევა, როგორსაც ადრე და 82 წლის ლეგენდის მდგომარეობა მძიმეა.

იმავე ექიმების მტკიცებით, პელესთან შვილები – ედინიო და კელი მუდმივად იმყოფებიან და მამას წამითაც არ ტოვებენ მარტო. შობაც მასთან ერთად გაატარეს და თითოეულ გათენებულ დილას გამარჯვებად მიიჩნეევენ.

# ორი ოქრო იერუსალიმიდან

იერუსალიმში, ძიუდოისტთა შორის, წლის შემაჯამებელი ტურნირი გაიმართა. სამწუხაროდ, ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ისრაელში ჩავიდა, მაგრამ ტურნირს მოეხსნა ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ბექაური. არადა, ის -90 კილოგრამში ფავორიტად იყო შერაცხული და მედალს ველოდით.

სამაგიეროდ, ფავორიტის სტატუსი გაამართლა მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა ტატო გრიგალაშვილმა. -81 კილოგრამში, ქართველმა ფალავანმა ყველა მეტოქე ერთი შეხედვით, ძალიან მარტივად დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

საუცხოოდ იასპარეზა 21 წლის ილია სულამანიძემაც. მან დამაჯერებელი და ჭკვიანური ჭიდაობა აჩვენა, რამაც ოქროს მედლის მოპოვების შესაძლებლობა მისცა. 21 წლის ძიუდოისტი ნელ-ნელა ყალიბდება წონის ფავორიტად არა მარტო საქართველოში, არამედ, მსოფლიოშიც და მისგან მედლებს უკვე ყველა ტურნირიდან უნდა ველოდოთ. ზოგადად, ძიუდოს ფედერაციისთვის, მიმდინარე წელი ძალიან წარმატებულად უნდა ჩავთვალოთ, რადგან პრაქტიკულად ყველა დიდი შეჯიბრიდან, ოქროს მედლის გარეშე არ დაბრუნებულან.

ცნობისთვის, ოლიმპიურმა კომიტეტმა წლის სპორტსმენად სწორედ ტატო გრიგალაშვილი დაასახელა. წლის ფეხბურთელი კი, რაღა თქმა უნდა, ხვიჩა კვარაცხელია გახდა.

# როგორ შევინარჩუნოთ ჯანსაღი ხმა

ლიკა თორთლაძე



## ინტერვიუ, რომელიც მომღერლებმა, პედაგოგებმა და ჟურნალისტებმა აუცილებლად უნდა წაიკითხონ

**საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის, მედიცინის რა დარგია ფონიატრია. ფონიატრია ადამიანებს იმ პრობლემის მოგვარებაში ეხმარება, რაც ხმასა და მის დაკარგვას უკავშირდება. როგორც ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, ასევე, ჟურნალისტები და პედაგოგები ხმის პრობლემების წარმოქმნის ყველაზე დიდი რისკის ქვეშ დგანან. ე.წ. ხმოვან პროფესიათა წარმომადგენლებისთვის კი ხმის სიჯანსაღე განსაკუთვრებულად მნიშვნელოვანია. როგორ ვმართოთ ჩვენი ხმა სწორად, რა აყენებს ზიანს სახმო აპარატს და რა უნდა ვიცოდეთ ხმის იოგების დასაცავად? – „ვერსია“ ოტორინოლარინგოლოგ-ფონიატრ ირინა ქაცარავას ესაუბრა.**

**– ქალბატონო ირინა, რა ახდენს ცუდ ზეგავლენას ხმაზე?**

– ხმაზე ზეგავლენას ბევრი ფაქტორი ახდენს – არასწორი კვება, არასწორი სიმღერა და ხმის გადაძაბვა. მაგალითად, ხმაურიან გარემოში, სადაც დაბალ ხმაზე ერთმანეთის საუბარს ვერ იგებენ, ადამიანებს ხმამაღლა უწევთ დიალოგი, ამის შედეგად, შესაძლოა, ხმამ მარტივად მიიღოს ტრამვა. განსაკუთვრებით, არასწორი სიმღერით ზიანდება ხმის იოგები, არასწორი სიმღერა კი სუნთქვის გარეშე სიმღერას გულისხმობს. სპირტიანი სასმელები – კონიაკი, არაყი და ა.შ. ასევე, დიდ საფრთხეს უქმნიან სახმო იოგების სიჯანსაღეს. აღსანიშნავია, რომ იმ ადამიანებში, რომლებსაც გულძმარვა აწუხებთ, ხმის პრობლემები საკმაოდ ხშირია, ვინაიდან კუჭის შიგთავსის უკუსვლა ხორხის დამწვრობისა და შეშუპების გამომწვევია, რაც სახმო იოგების დაზიანებას უწყობს ხელს.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწორ კვებასაც, არ არის სასურველი ვიკვებოთ ღამე, რადგან მალევე დასაძინებლად ვწვებით და სწორედ მაშინაა ხშირი საკვების მოწოლა.

**– ყველაზე ხშირად რა პროფესიის ადამიანებს აწუხებთ ხმის პრობლემები?**

– ყველაზე ხშირად ხმის პრობლემები იმ პროფესიის წარმომადგენლებს ექმნებათ, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვთ ხმის დატვირთვასთან. აღსანიშნავია, რომ მომღერლებს, პროცენტულად, გაცილებით უფრო ნაკლებად აქვთ აღნიშნული პრობლემები, ვიდრე ჟურნალისტებს, ტელეწამყვანებს და ასევე, პედაგოგებს. მომღერლებმა უკეთ იციან ხმის მართვა და სახმო აპარატის კონტროლი, ჟურნალისტებს და პედაგოგებს კი დისკომფორტი ამ მხრივ უფრო ხშირად ექმნებათ, რადგან არ იციან, როგორ დატვირთონ ხმა სწორად და საუბრის დროს, შესაძლოა ვერც აკონტროლებენ სუნთქვის ტექნიკას, ამის შედეგად კი სახმო იოგების დატვირთვისა და ხშირი საუბრის ფონზე წარმოიქმნება ხმის პრობლემები.

**– აღმოჩნდა, რომ კორონავირუსმაც დიდი ზიანი მიაყენა ხმის იოგებს – კოვიდგადატანილთა უმრავლესობა ხმის ცვლილებას უსვამს ხაზს, კიდევ რომელი ვირუსები უქმნიან ხმის სიჯანსაღეს საფრთხეს?**

– არა მხოლოდ კოვიდი, არამედ, ნებისმიერი სეზონური ვირუსი, რაც ახლა საკმაოდ გავრცელებულია, დიდ საფრთხეს უქმნის ხმის სიჯანსაღეს. პაციენტების უმეტესობა მომმართავს ორჯერ და ხშირად, სამჯერ – შებრუნებული სეზონური ვირუსის გამო, რომელიც კოვიდზე ნაკლები სიმძიმით არ მიმდინარეობს. ნებისმიერი ვირუსი, შესაძლოა, ბაქტერიულ ანთებაში გადაიზარდოს, რაც ხორხის ანთებას იწვევს.

ასევე, მინდა აღვნიშნო მონონუკლეოზი, რომელსაც ებშტეინბარის ვირუსი იწვევს, ის იწყება ტონზილიტით, გლანდების ანთებით და ხშირად ტრაქეის ანთების გამომწვევი მიზეზია.

**– რამდენად მარტივია, ხმა ჩვეულ ფორმაში ჩადგეს ვირუსის გადატანის შემდგომ? არის იმის მცირედი ალბათობა, რომ ხმამ პერმანენტული ცვლილება განიცადოს?**

– ეს ინდივიდუალურია. ხშირად, პაციენტებს ორი კვირიდან ოთხ თვემდე უგრძელდებათ ხმის ცვლილება. კორონავირუსს გვიანი გართულებები ახასიათებდა. მაგალითად, ორგანიზმი ფორმაში ჩადგა, პაციენტი განიკურნა, თუმცა ვირუსის გადატანის შემდგეგ დარჩა ზოგადი სისუსტე, კუნთების ატროფია, რამაც ბუნებრივია, ხმის ხარისხზე იმოქმედა, თუმცა დროთა განმავლობაში ხმა, რა თქმა უნდა, ჩვეულ მდგომარეობას უბრუნდება და წარმოქმნილი პრობლემები მკურნალობას ექვემდებარება.

ხმაში ცვლილების შემჩნევის დროს, სასურველია, ადამიანებმა სპეციალისტს მიმართონ, რადგან ექიმმა პაციენტს სწორი მიმართულება უნდა მისცეს. აუცილებელია, დიაგნოსტიკის მეშვეობით გამოვლინდეს, რა სახის დაზიანება აქვს ხმის იოგებს – ორგანულია თუ ფუნქციური. პოსტკოვიდური გართულებებით განსაკუთრებით მომღერლებს, კლასიკურ ვოკალისტებს გამოვარჩევდი, რომელთა ხმაც, ბუნებრივია, უფრო დიდ დატვირთვას მოითხოვს. ძალიან ბევრი პაციენტი გვყავდა აღნიშნული პრობლემით და ბუნებრივია, ამ დროს პაციენტი სტრესს განიცდის და მის ფსიქიკაზე მოქმედებს. საბედნიეროდ, ყველას დაუბრუნდა ხმა და ჩადგა ადრინდელ ფორმაში. ამას, რა თქმა უნდა, დასჭირდა გარკვეული დრო, რადგან კოვიდმა, სამწუხაროდ, გაახანგრძლივა ეს პროცესი, თუმცა პრობლემა მოგვარებადია და ქრონიკული დაავადებების შემთხვევაშიც კი, შეგვიძლია სწორი მიდგომით ვმართოთ პრობლემები, რომლებიც ხმას უკავშირდება.

**– მკურნალობა სპეციალური ხმის სავარჯიშოების შესრულებას გულისხმობს?**

– მკურნალობა მოიცავს, როგორც მეტიკამენტოზურ მკურნალობას, ასევე, ხმის რეაბილიტაციას, ხმის სავარჯიშოებსა და ქირურგიულ მკურნალობას. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, სწორი დიაგნოსტიკა. სპეციალური აპარატის მეშვეობით, რომელიც დღეს მხოლოდ ჩვენს კლინიკაშია, ვათვალიერებთ ხორხს. ვიდეოდათვალიერების შემდეგ კი ინიშნება შესაბამისი მედიკამენტი, ან პაციენტი საჭიროებს ფიზიოთერაპიის ერთ-ერთ სახეობას, ელექტროთერაპიას. ვახდენთ ხორხის ელექტრო სტიმულაციას და პაციენტები, როგორც აღვნიშნე, გადიან ხმის თერაპიას. დაავადებიდან გამომდინარე, სხვადასხვა მეთოდით ვმკურნალობთ და სამწუხაროდ, ხშირად, ქირურგიული ჩარევაც ხდება აუცილებელი, რასაც ხორხის მიკროქირურგია ეწოდება. ამას ოტორინოლარინგოლოგ-ფონიატრები და ასევე, ფონო-ქირურგები ვაკეთებთ.

**– რას ურჩევთ მომღერლებს, რომლებსაც ყოველდღიურ რეჟიმში უწევთ ხმის დატვირთვა, როგორ დაზოგონ და შეინარჩუნონ ხმის სიძლიერე?**

– მომღერლებმა ყოველი დილა უნდა დაიწყონ ხმის გახურებით, არსებობს სპეციალური, მარტივი სავარჯიშოები და მნიშვნელობა არ აქვს, სად გააკეთებენ ამას. ასევე, მნიშვნელოვანია ლორწოვანი გარსის დატენიანება, რისთვისაც ზომიერი რაოდენობით წყლის მიღებაა აუცილებელი. არსებობს სპეციალური მედიკამენტები, რომლებიც უშუალოდ დატენიანებისთვის გამოიყენება. ყურადღება უნდა მიაქციონ ოთახის ტემპერატურას, რადგან გამომშრალი ჰაერი უარყოფითად მოქმედებს სახმო აპარატზე. ასევე, ვურჩევ, ოთახის სპეციალური დამატენიანებლები შეიძინონ, რადგან არ განვითარდეს იოგების გამოშრობა. ზოგადად, სასურველია, სახმო იოგები მუდმივად დატენიანებული იყოს. როგორც აღვნიშნე, მომღერლებისა და მათთვისაც, რომლებისთვისაც ხმა აუცილებელია, საჭიროა სწორი კვება, სასურველია, მიიღონ დიდი რაოდენობით ბოსტნეული და ხილი. კვების რაციონში მაქსიმალურად უნდა შეზღუდოთ ცომეული და ასევე, ტკბილეული. სწორი სიმღერის ტექნიკა კი ყველაზე მნიშვნელოვანია, რათა სახმო აპარატმა არ მიიღოს ტრამვა.

# შობა-ახალი წელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში

## ვენა, ავსტრია – Vienna, Austria

კაშკაშა და მოელვარე საშობაო ბაზრობები, ულამაზესი დეკორაციებით მორთული ქუჩები და ვენის საოცარი არქიტექტურა ნამდვილად ჰგავს საშობაო ზღაპარს.

## მადრიდი, ესპანეთი – Madrid, Spain

დღესასწაულზე ქალაქი ბრწყინავს ფერადი შუქებით, ყველგან ტრადიციული ესპანური ტკბილეული და ცქრიალა ღვინოა. მართალია, მადრიდში მთავარი დღესასწაული შობაა, მაგრამ ესპანელები ახალ წელსაც დიდი ზეიმით აღნიშნავენ.

## პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა – Prague, Czech Republic

თვალისმომჭრელი საახალწლო სათამაშოები, ქუჩებსა და ვიტრინებში განათებული ნაძვის ხეები, ფერადი ილუმინაციები და საყოველთაო მხიარულება.

# ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ, ᲑᲔᲚᲒᲘᲐ – Brussels, Belgium

ბელგიის ყველა ქალაქში მთავარი დღესასწაულისთვის მზადება ნოემბრის მეორე ნახევარში იწყება.

# ᲢᲐᲚᲘᲜᲘ, ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ – Tallinn, Estonia

ახალი წელი ერთ-ერთი საყვარელი დღესასწაულია ამ ქვეყანაში. თუმცა ერთი დღით ადრე, აქ ნამდვილი სადღესასწაულო ცხელება იწყება. ტალინში ახალს წელს ორჯერ აღნიშნავენ, პირველად – მოსკოვის დროით, მეორედ – ადგილობრივი დროით.

# ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ – Paris, France

მსოფლიოს ულამაზესი ქალაქი წლის გამორჩეული დღესასწაულის აღსანიშნავად განსაკუთრებულად ემზადება. პარიზს, შეყვარებული წყვილების გარდა, რიგითი ტურისტები მსოფლიოს უამრავი ქვეყნიდან სტუმრობენ. ულამაზესი ფოიერვერკების ყოველწლიური შოუ ეიფელის კოშკზე ეწყობა, თუმცა, გარდა ამისა, ულამაზესია პარიზის დისნეი-ლენდი.

# გდანსკი, პოლონეთი – Gdansk, Poland

ახალი წლის ღამეს პოლონელები ხმაურით ეგებებიან: ყველგან ისმის ხმამაღალი მუსიკა, სიმღერა, სიცილი, ფერადი და შთამბეჭდავი ფოიერვერკების წვიმა. ახალ წელს, ტრადიციულად, ქვეყანაში კარნავალებს აწყობენ. სხვადასხვა შოუ-პროგრამები, ცეკვები და მხიარული მსვლელობები, ფაქტობრივად, ქალაქის ყველა ქუჩებში იმართება.

# ბუდაპეშტი, უნგრეთი – Budapest, Hungary

ბუდაპეშტში ახალი წლის ღამეს საკმაოდ მხიარული და ხმაურიანი დღესასწაულით ხვდებიან. ამ დღესასწაულში ბუდაპეშტის თითქმის ყველა მცხოვრები მონაწილეობს, ქალაქის ყველა ქუჩებში იმართება სადღესასწაულო და გასართობი შოუ-კონცერტები.

## ტრირი, გერმანია – Trier, Germany

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ტრადიცია, რომლის მიხედვითაც გერმანელები ახალ წელს მხოლოდ მეგობრებთან და მხიარულ, კეთილგანწყობილ ადამიანებთან ერთად აღნიშნავენ. იქ, წლის დასაწყისს არავინ ხვდება სახლში. გერმანიის ამ ქალაქში, ახალი წლის მოახლოებას სადღესასწაულო ბაზრობებით აღნიშნავენ ცენტრალურ მოედნებზე, ფერადი განათებებით მორთულ საშობაო ქოხებში.

## ედინბურგი, შოტლანდია – Edinburg, Scotland

ახალი წლის ღამე წლის ყველაზე დიდი დღესასწაულია და მას განსაკუთრებული სახელიც კი აქვს – ჰოგმენაი. ულამაზესი ფერადი განათებები, განსაკუთრებული განწყობა და ედინბურგის ქუჩებში გამართული უამრავი საახალწლო გასართობი, ცოცხალი მუსიკა და საჭმელ–სასმელი. ფოიერვერკების სანახავად კი ერთ–ერთი ყველაზე ლამაზი უზარმაზარი ეშმაკის ბორბალი და მისი მიმდებარე ტერიტორიაა.

# საშობაო ვახშმის ტრადიციული კერძები

ია გრიგალაშვილი

**შობა, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დღესასწაულია, რომელსაც ადამიანები ოჯახურ გარემოში აღნიშნავენ. საუკუნეების განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყნებში, ამ დღესთან დაკავშირებით, უამრავი ტრადიცია ჩამოყალიბდა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც საშობაო ვახშამია, ამიტომ კვების ტრადიციები ამ დღესასწაულის მნიშვნელოვანი ნაწილია. საინტერესოა, რას მიირთმევენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ოჯახურ ვახშამზე – „ვერსია“ გიზიარებთ ტრადიციულ საშობაო კერძს რამდენიმე ქვეყნიდან.**

### გერმანია

გერმანიაში, საშობაო სუფრის მთავარი კერძია ბატი და ეს ტრადიცია სათავეს შუა საუკუნეებიდან იღებს. თავდაპირველად, ეს წმინდა მარტინის დღესთან იყო დაკავშირებული, მაგრამ საბოლოოდ, ბატისგან მომზადებული კერძი საშობაო ტრაპეზის ნაწილი გახდა. ვაშლით, წაბლით, ხახვითა და ქლიავით გაჟღენთილ, შემდეგ კი სანელებლებით შეზავებულ ფრინველს, გერმანელები სხვადასხვა გარნირთან ერთად მიირთმევენ. ამ კერძის უძველესი, ცნობილი რეცეპტი აღწერილია 1350 წელს გამოცემულ კულინარიულ წიგნში: „Das Buch von guter Speise“. სუფრაზე, ასევე, შეხვდებით ძეხვეულის ასორტსაც. გერმანელების უსაყვარლესი საშობაო დესერტი შტოლენია, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო და პოპულარულ ნამცხვრად ითვლება.

### საფრანგეთი

ფრანგული საშობაო მთავარი კერძია დიდი შემწვარი ინდაური, რომელიც ტრადიციულად, წაბლის შიგთავსით მზადდება და ხშირად მიირთმევენ შემწვარ კარტოფილთან, ზოგჯერ კი მოხარშულ ვაშლთან ერთად. გარდა ამისა, ხამანწკების მომზადებაც კლასიკური, ფრანგული, საშობაო ტრადიციაა. თუმცა, ინდაურთან ერთად, სუფრაზე ნახავთ შებოლილ ორაგულს, ბოსტნეულსა და ხიზილალას. ფრანგული კერძები ყველის გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომ სუფრას დახვეწილი ყველის, თხილეულისა და ხილის დაფებით აფორმებენ. დესერტად კი, ძირითადად, სხვადასხვა სახის შოკოლადის ტორტს მიირთმევენ.

### ბრიტანეთი

როგორც საფრანგეთში, ასევე, დიდ ბრიტანეთშიც მთავარი საშობაო კერძი ინდაურია. ჩვეულებრივ, გაერთიანებულ სამეფოში, ინდაურს სხვადასხვა შიგთავსებითა და ბოსტნეულით ამზადებენ, თუმცა ინდაური მე-19 საუკუნემდე, ფუფუნების პროდუქტად ითვლებოდა, რის გამოც, ძალიან ხშირად, მას ბატის ხორცითაც ანაცვლებდნენ. საშობაო სუფრის ყველაზე მნიშვნელოვანი დესერტი, ცნობილი ბრიტანული პუდინგია.

### საბერძნეთი

საბერძნეთის თითოეულ რეგიონს საკუთარი ტრადიციული საშობაო კერძი აქვს. ჩრდილოეთ ნაწილის საშობაო ვახშამი შედგება ღვეზელებისა და კრემ-სუპებისგან, ხოლო სხვა რეგიონებში ისინი მიირთმევენ შემწვარი ღორის ან საქონლის ხორცს, სოფლის ღვეზელებთან ერთად. ბრიტანეთის მსგავსად, საბერძნეთშიც აქვთ განსაკუთრებული საშობაო დესერტი, რომელსაც ყველა ოჯახში ამზადებენ. ეს გახლავთ „მელომაკარონა“, რომელსაც გამოცხობისთანავე ასველებენ თაფლსა და შაქრიან წყალში, რომელსაც ნიგოზს აყრიან. „მელომაკარონა“ ძალიან ჰგავს აზიურ „ბაქლავას“.

# რა ღირს ახალი წლის აღნიშვნა თბილისის რესტორნებში და რა პროგრამებს გვთავაზობენ

ᲔᲙᲘᲐ ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

**ახალი წლის აღნიშვნის უძველესი ტრადიცია, რომელიც ძველი წლის გაცილებასა და ახლის დასაწყისს უკავშირდება, თითოეულ ჩვენგანში მნიშვნელოვან ემოციებს აღძრავს და მის შესახვედრად სამზადისი დიდი ხნით ადრე იწყება. ზოგი ოჯახურ გარემოში ყოფნასა და სახლში გართობას ამჯობინებს, თუმცა ისინიც ბევრნი არიან, რომლებიც ცდილობენ, ახალი წლის ღამეს, გარემო შეცვალონ და დრო სხვაგან გაატარონ, თუნდაც, სტუმრად ახლობელთან, რესტორანში ან კონცერტზე. სწორედ ამიტომ, საახალწლო სამზადისში აქტიურად ჩართულნი არიან სხვადასხვა დაწესებულებები, განსაკუთრებით, რესტორნები, რომლებიც მრავალფეროვანი მუსიკალური თუ შოუ პროგრამით ცდილობენ სტუმრების მოზიდვას. იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო ორი წელია, ქვეყანაში ფასები საგრძნობლად გაიზარდა, საინტერესოა, რა თანხა ჯდება ახალი წლის აღნიშვნა რესტორანში და როგორ პროგრამას გვთავაზობენ მათი წარმომადგენლები.**

**„ვერსია“ გაგაცნობთ საშუალო და მაღალი კლასის რესტორნების საახალწლო პროგრამას და მათ ღირებულებას ერთ პერსონაზე.**

## რესტორანი „პელაგონი“

„პელაგონში“ ახალი წლის ღამეს რადიო „არ დაიდარდოს“ წამყვანი და მომღერალი ლევან გულბათაშვილი იმღერებს. გაიმართება ცეკვების შოუ. აქ, ერთი პერსონის ღირებულება 150 ლარი.

## რესტორანი „ტიფანი ტერასა“

ახალი წლის პროგრამა მოიცავს ცოცხალ მუსიკას, საახალწლო გასტრონომიას, საჩუქრებსა და სიურპრიზებს. ერთი პერსონის ფასი აქაც 150 ლარია.

## რესტორანი „კერია“

„კერიას“ ახალი წლის პროგრამაშია ცოცხალი შესრულება. შოუ-პროგრამას გაუძღვება წამყვანიცა და დიჯეიც, დაუკრავს ბენდი. გაიმართება სხვადასხვა გათამაშებები და შესრულდება ქართული ცეკვები. ერთი პერსონის ღირებულება 200 ლარია.

## რესტორანი „ორბელიანი გარდენი“

საახალწლო საღამოს გააფორმებს მუსიკალური ბენდი, თითოეულ მაგიდას საჩუქრად გადაეცემა ღვინო და 00.00 საათზე მოეწყობა ფოიერვერკი. ერთი პერსონის ფასია 200 ლარი.

## რესტორანი „გორგასალი“

სტუმრების მიღება დაიწყება 23.00 საათიდან. საღამოს გაუძღვებიან ანსამბლ „ივერიის“ სოლისტები – ნუგზარ კვაშალი და ზურა კობეშავიძე, ასევე, ვირტუოზი შემსრულებელი ლევან შენგელია. საღამოს მუსიკალურად გააფორმებს ოლიკო ჩორდელი და ჯგუფი „გორგასალი“. იცეკვებს ქორეოგრაფიული ანსამბლი „გორგასალი“. გაიმართება გათამაშება, ღვინის აუქციონი, შესრულდება ქართული მრავალჟამიერი და საღამოს გააფორმებს ფოიერვერკი. ერთი პერსონის ფასი 100-დან 150 აშშ დოლარამდეა.

## რესტორანი „ორთაჭალა“

სტუმრების მიღება დაიწყება 23.00 საათიდან. პროგრამა, რა თქმა უნდა, შედგება ტრადიციული საახალწლო სუფრისგან – მუსიკალური გაფორმებით, რისთვისაც მიწვეულები არიან ყარაჩოღელები. იქნება

ქართული და აღმოსავლური ცეკვები, გათამაშება და საჩუქრები.

ერთი პერსონის ფასი პირველ სართულზე – 100 აშშ დოლარი, ხოლო მეორე სართულზე – 130 აშშ დოლარია.

## რესტორანი „რივერსაიდ ბაბილო“

სტუმრების მიღება დაიწყება 23.00 საათიდან. საღამოს გაუძღვება ლაშა პაპუაშვილი. შოუ-პროგრამაში მონაწილეობენ სოფო სიმონიშვილი, ნინო ძოწენიძე, გიორგი შარაბიძე, ბექა ცხომელიძე. იქნება ქართული და ევროპული ცეკვები, ასევე, დიჯეი. ერთი პერსონის ფასია 300 ლარი.

## რესტორანი „ძველი მეტეხი“

სტუმრების მიღება დაიწყება 23.00 საათიდან. რესტორანს აქვს სპეციალური საახალწლო პროგრამა და მენიუ. ერთი პერსონის ფასი 400 ლარია.

## რესტორანი „თავადური“

„თავადური“ გთავაზობთ, ცოცხალ მუსიკას, დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით. იქნება ქართული ტრადიციული ცეკვები და უამრავი სიურპრიზი. ერთი პერსონის ღირებულებაა 400 ლარი.

## რესტორანი „ქალაქი“

„ქალაქი“ გიმასპინძლებთ საახალწლო ვახშამზე, შეფ ალექსანდრე უგრეხელიძისგან და რასაკვირველია, არაჩვეულებრივი მუსიკალური პროგრამით. ერთი პერსონის ღირებულება 500 ლარია.

## რესტორანი „რესპუბლიკა“

„რესპუბლიკას“ საახალწლო კონცერტი ჩატარდება „კაბარეს“ სტილში – მრგვალი მაგიდებით. გაყიდვაშია 2-კაციანი, 4-კაციანი, 6-კაციანი, 8-კაციანი და 10-კაციანი მაგიდები, როგორც „ივენთ ჰოლის“ პირველ, ასევე – მეორე სართულზე. ფასი 1 პერსონაზე, მეორე სართულზე განთავსების შემთხვევაში, 400 ლარია, ხოლო პირველ სართულზე – 500 ლარი (დღგ-ს ჩათვლით). ღირებულება მოიცავს ახალი წლისთვის შედგენილ განსაკუთრებულ მენიუს, ცქრიალა ღვინოსა და საახალწლო პროგრამას:

23.30-00.30 – „ალილო“;
00.30-01.30 – გიგი პიანომენი;
01.30-02.30 – „ალილო“;
02.30-04.30 – დავით გომართელი.

## რესტორანი „წისქვილი“

სპეციალურად ამ დღისთვის დაიდგმება მიუზიკლი – „Mamma Mia“, ქართულად. სცენაზე გაცოცხლება „Théâtre de Broadway“ – ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობის, ანა ქურთუბაძის, ასევე თეატრის მოცეკვავეთა დასის შესრულებით. გარდა ამისა, სტუმრები დატკბებიან ნინო ქათამაძისა და ჯგუფ „ინსაითი“ შთამბეჭდავი შესრულებით

ამ ყველაფერთან ერთად, ბრენდ-შეფი ალექს ნათაძე, სპეციალურად ახალი წლისთვის შექმნილ კერძებს შემოგთავაზებთ.

**პირველი აქტი:**
Théâtre de Broadway;
Show-introduction;
Mamma Mia;
Happy New Year.
**მეორე აქტი:**
Concert-spectacle de Maggie;
ნინო ქათამაძე & ჯგუფი Insight;
სპეციალური მოწვევით: პაპუნა შარიქაძე;
სიმებიანი კვარტეტი.
**მესამე აქტი:**
Performances DJ;
**წამყვანები:** ანა ქურთუბაძე და სანდრო კახეთელიძე;

რესტორანში „წისქვილი“, ახალი წლის ღამეს, ერთი პერსონის ღირებულებაა 650 ლარი.

## რესტორანი „ეთნოგრაფი“

„ეთნოგრაფში“ მირზა მოდებაძის, ელენე ფოჩხუას, ილია გელაშვილის, სოფო პაპუაშვილისა და მარიკო ებრალიძის შესრულებით, აჟღერდება ქართული კინომუსიკის შედევრები და მსოფლიო მუსიკალური ჰიტები.

სცენა კი, მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენების ადგილად იქცევა: მეეზოვე სარეს ცეკვა, ხანუმას რეჩიტატივის პაროდია და სხვა ძვირფასი კულტურული მემკვიდრეობა, ოღონდ ახლებური სახით და მხოლოდ სტუმრებისთვის.

**საღამოს ცოცხალ მუსიკალურ აკომპანიმენტზე ბენდი იზრუნებს:**
**კლავიში – გიორგი ოთინაშვილი;**
**ბას გიტარა – ნოდარ ექვთიმიშვილი;**
**დრამი – გია სალაღაშვილი;**
**სინთეზატორი – ირაკლი მენთეშაშვილი.**

ლხინს „ეთნოგრაფში“, მოცეკვავეების მიერ შესრულებული ტრადიციული, ქართული ცეკვის თვალწარმტაცი გამოსვლები დაამშვენებს.

საღამოს მასპინძელი და სადღესასწაული განწყობის მთავარი შემოქმედია მსახიობი, მომღერალი და რადიოწამყვანი ლაშა რამიშვილი.

ერთი პერსონის ღირებულება: სცენასთან ახლოს – 200 აშშ დოლარი, ხოლო სცენიდან ოდნავ მოშორებით – 170 აშშ დოლარი.

## რესტორანი „ტიფლისი ვერანდა“

საახალწლო გალა-ვახშმის პროგრამა მოიცავს: Welcome-ფურშეტს ტიფლის პალასში, 20.00 საათიდან; გალა-ვახშამი „ტიფლის ვერანდაზე“ (სამი კერძის მენიუ) – 21.00 საათიდან. აქ იქნება ცოცხალი მუსიკა, დაუკრავს ბენდი „The Five“ – 21.30 საათიდან.

ასევე, იქნება ფოიერვერკი და ტორტი.

ერთი პერსონის ღირებულებაა 200 აშშ დოლარი.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.